

30.04.19

ფიქსირებული საცალო ხმოვანი, მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო და ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N37/23 „ფიქსირებული და მობილური ქსელით მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2019 წლის 18 და 25 აპრილს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დღედ განისაზღვრა 2019 წლის 30 აპრილი. კომისიის 2019 წლის 18 და 25 აპრილის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ: შპს „ვიონი საქართველოს“ იურიდიული სამსახურის უფროსი ირაკლი ესართია, შპს „მაგთიკომის“ იურისტი დავით ძიძიგური, შპს „მაგთიკომის“ ფინანსური დირექტორის მოადგილე გიორგი გაგნიძე, სს „სილქნეტის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი თიკო ტყემელაშვილი, სს „სილქნეტის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი, სს „სილქნეტის“ აბონენტებთან ურთიერთობის მიმართულების დირექტორი ლევან ბუჩუკური, ააიპ „საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე უჩა სეთური, ფიზიკური პირი შოთა შოთაძე, შპს „ახალი ქსელების“, შპს „ახტელისა“ და შპს „სიჯისი“-ს ფინანსური დირექტორი მარინე კილაძე, შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „ახტელის“ იურისტი მაკა ლოლიაშვილი, შპს „მაგთიკომის“ კონსულტანტი ლევან გიორგაძე, შპს „მაგთიკომის“ კომერციული დირექტორი ნიკოლოზ დავითაშვილი, შპს „ვიონი საქართველოს“ როუმინგის განყოფილების ხელმძღვანელი თეკლა ცხვედიანი.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის (დ. გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურება

ფიქსირებული საცალო სატელეფონო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას, კომისია სწავლობს/ადგენს აღნიშნული ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრებს მომსახურების სახეებისა და შესაბამისი გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით. კომისია განსაზღვრავს იმ ურთიერთშენაცვლებად მომსახურების სახეებს, რომლებიც მიეკუთვნება ბაზრის შესაბამის სეგმენტს. ურთიერთშენაცვლებადობის მახასიათებლებია: მომსახურების ფასი, მიზნობრივი გამოყენება, ფუნქციონალურობა და სხვა შესაბამისი მახასიათებლები. ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების განსაზღვრისას, ასევე საჭიროა შესაბამის მომსახურებაზე მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის გათვალისწინება.

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული


არეალისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას კომისია უფლებამოსილია ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განსაზღვროს ერთიანი ეროვნული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში ან დაყოს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული კონკურენციის სხვადასხვა შეზღუდვების მიხედვით.

ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურებების განსაზღვრა

საქართველოში ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდება უზრუნველყოფილია „VoIP“, „PSTN“ და „CDMA“ ტექნოლოგიების საშუალებით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა აბონენტების რაოდენობა, როგორც „PSTN“ ასევე „CDMA“ ტექნოლოგიებით ფიქსირებული სატელეფონო საცალო მომსახურების მიწოდებაზე. აბონენტები შეუმცირდა ყველა ავტორიზებულ პირს. ამასთან, აბონენტების ოდენობის საბაზრო ხვედრითი წილები ავტორიზებული პირების მიხედვით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. გრაფიკი N1-ზე მოცემულია ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) 2015 -2018 წლების განმავლობაში.


გრაფიკი N1



გრაფიკი N1-ის მიხედვით 2015-2018 წლების პერიოდში ფიქსირებული ქსელის აბონენტების საერთო რაოდენობა 37%-ითაა შემცირებული. ტექნოლოგიების მიხედვით, 22%-ით შემცირდა „CDMA“-ს აბონენტების რაოდენობა, ხოლო „PSTN“-ის აბონენტების რაოდენობა 15%-ით.


გრაფიკი N2-ში მოცემულია ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) ფიზიკური და იურიდიული პირების მიხედვით 2015 -2018 წლების პერიოდში

გრაფიკი N2



გრაფიკი N3-ზე მოცემულია კომპანიების მიხედვით „CDMA“ ტექნოლოგიის ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) 2015 -2018 წლების პერიოდში


გრაფიკი N3



გრაფიკი N3-ის მონაცემების მიხედვით 2015-2018 წლების პერიოდში 51%-ით მცირდება CDMA ტექნოლოგიის გამოყენებით აბონენტების რაოდენობა. კერძოდ, შპს „მაგთიკომს“ შეუმცირდა აბონენტები 64%-ით, ხოლო სს „სილქნეტსი“ 48% პროცენტით.


გრაფიკი N4-ზე მოცემულია კომპანიების მიხედვით VoIP ტექნოლოგიის ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) 2015 -2018 წლების პერიოდში

გრაფიკი N4



გრაფიკი N5-ზე მოცემულია კომპანიების მიხედვით „PSTN“- ტექნოლოგიის ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) 2015 -2018 წლების პერიოდში

გრაფიკი N5



ცხრილი N6-ში მოცემულია კომპანიების მიხედვით ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობა (ათასებში) მომსახურების მიწოდების ყველა ტექნოლოგიისთვის


ცხრილი N6

	2015	2016	2017	2018
სილქნეტი	385,797	361,300	331,988	297,008

მაგთიკომი	298,929	228,276	168,548	121,463
ახალი ქსელები	98,751	94,864	78,031	69,278
ახტელი	56,387	54,176	46,256	41,272
სი ჯი სი	21,058	19,957	17,546	14,398
სხვა დანარჩენი	27,318	30,859	32,344	39,140
სულ	888,240	789,432	674,713	582,559

გრაფიკი N7-ზე მოცემულია ტექნოლოგიების მიხედვით ფიქსირებული ქსელიდან განხორციელებული ტრაფიკის მოცულობა (წუთებში) 2015-2018 წლების განმავლობაში

გრაფიკი N7




2013-2018 წლებში ფიქსირებული ქსელიდან გამავალი ტრაფიკი 67%-ით არის შემცირებული, რაც ფიქსირებული ქსელის აბონენტების რაოდენობის კლებითაა გამოწვეული.

გრაფიკი N8-ზე მოცემულია ფიქსირებული ქსელიდან ფიქსირებული და მობილური ქსელების მიმართულებით განხორციელებული ტრაფიკის ოდენობა 2015-2018 წლების პერიოდში

გრაფიკი N8

ფიქსირებული და მობილური ქსელების მიმართულებით გამავალი ზარები



ბაზრის ძირითადი მონაწილეები

„მაგთიკომი“

ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს „PSTN“, „VoIP“ და „CDMA“ ტექნოლოგიების საშუალებით.

„მაგთიკომი“ ამჟამად უზრუნველყოფს სრულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ფიქსირებული და მობილური ტელეფონისა და ინტერნეტ მომსახურებების ჩათვლით, ასევე სატელიტურ და IPTV მომსახურებებს.

„მაგთიკომი“ უზრუნველყოფს სატელეფონო ხმოვან მომსახურებას საქართველოს უმეტეს რეგიონებში. კერძოდ, „VoIP“ ტექნოლოგიით თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთში (ზუგდიდი, ფოთი), შიდა ქართლში (გორი), აჭარაში (ბათუმი, ქობულეთი), იმერეთში და „CDMA“ ტექნოლოგიით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

შპს „მაგთიკომი“ სადენიან ფიქსირებულ ქსელზე მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს:

„სტარტი“ - პაკეტის ღირებულება 3 ლარი

მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელზე უფასო საუბარი;
ფიქსირებულ ქსელში ზარი 6 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 15 თეთრი/წუთი.

„პრემიუმი“ - პაკეტის ღირებულება 5 ლარი

მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელზე უფასო საუბარი;
ფიქსირებულ ქსელში ზარი 6 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 12 თეთრი/წუთი.

შპს „მაგთიკომი“ მომხმარებელს ასევე სთავაზობს „სტანდარტულ“ ტარიფს:
წუთის ფასი ფიქსირებულ ქსელებზე 6 თეთრი;

წუთის ფასი მობილურ ქსელებზე 20 თეთრი.

უსადენო ფიქსირებული ქსელის აბონენტებს შპს „მაგთიკომი“ მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს:

„ზერო“- 30 დღიანი სარგებლობის ღირებულება 1 ლარი

მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე 0 თეთრი;

ზარის წამოწყება 5 თეთრი/წუთი;

საქართველოს ყველა მობილურ ქსელში ზარი 10 თეთრი/წუთი.

„მოიკითხე“- 30 დღიანი სარგებლობის ღირებულება 3 ლარი

მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე უფასო და ულიმიტო საუბარი;

საქართველოს ყველა მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;

საქართველოს ყველა ფიქსირებულ ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

„ულიმიტო“- 30 დღიანი სარგებლობის ღირებულება 5 ლარი

უფასო და ულიმიტო საუბარი მაგთის, ბალის, ბანის და მაგთი ფიქსის ნომრებზე;

საქართველოს ყველა მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;

საქართველოს ყველა ფიქსირებულ ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

„სილქნეტი“

სს „სილქნეტი“ ფიქსირებული საცალო სატელეფონო ხმოვანი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს „VoIP“, „PSTN“ და „CDMA“ ტექნოლოგიების საშუალებით.

სს „სილქნეტის“ დაფარვის არეალებია: თბილისი, აჭარა (ბათუმი, ქობულეთი), იმერეთი (ქუთაისი, ზესტაფონი, წყალტუბო), კახეთი (გურჯაანი, თელავი, საგარეჯო, ახმეტა), სამეგრელო-ზემო სვანეთი (ზუგდიდი, ფოთი, სენაკი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური, ქარელი, კასპი), ქვემო ქართლი (რუსთავი), სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი), გურია (ოზურგეთი) და მცხეთა-მთიანეთი (დუშეთი, სტეფანწმინდა).

სს „სილქნეტი“ მომხმარებელს სადენიან ფიქსირებულ ქსელზე სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს

ქ. თბილისი

„პაკეტი 1“ - პაკეტის ღირებულება 4 ლარი

საკუთარ ქსელში 100 წუთი უფასო საუბარი, შემდეგ 2 თეთრი/წუთზე;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი 32 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

სხვა უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 2“ - პაკეტის ღირებულება 7 ლარი

უფასო წუთები შიდა ქსელში ულიმიტოდ;

ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;

მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი საკუთარ და სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 3“ - პაკეტის ღირებულება 10 ლარი

უფასო ულიმიტო საუბარი საკუთარ ადგილობრივ ქსელში;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 60 წუთი უფასო და შემდეგ 2 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 15 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი საკუთარ და სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

საქართველოს სხვა რეგიონები (თბილისის, ქუთაისის და რუსთავის გარდა)

„პაკეტი 1“ - პაკეტის ღირებულება 5 ლარი

უფასო წუთები შიდა ქსელში ულიმიტოდ;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 32 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 6 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 2“ - პაკეტის ღირებულება 7 ლარი

უფასო წუთები შიდა ქსელში ულიმიტოდ;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
სხვა მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 6 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 3“ - პაკეტის ღირებულება 10 ლარი

უფასო წუთები შიდა ქსელში ულიმიტოდ;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 15 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.

სს „სილქნეტი“ უსადენო ფიქსირებულ ქსელზე მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს

„LIGHT“ - პაკეტის ღირებულება 0 ლარი

ზარები საკუთარ ქსელში (ადგილობრივი/საქალაქთაშორისო/S1) 2 თეთრი/წუთი;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 4 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.
SMS - 3 თეთრი.

„CONTACT“ - პაკეტის ღირებულება 3 ლარი

ზარები საკუთარ ქსელში 100 წუთი უფასო(ადგილობრივი/საქალაქთაშორისო/S1) 2 თეთრი/წუთი;

ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 4 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.
SMS - 3 თეთრი.

„COMFORT“ - პაკეტის ღირებულება 7 ლარი

ზარები საკუთარ ქსელში უფასო; S1 2 თეთრი/წუთი;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 15 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 4 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.
70 SMS უფასო შემდეგ - 3 თეთრი.

„NON STOP“ - პაკეტის ღირებულება 7,5 ლარი

ზარები საკუთარ ქსელში უფასო; S1 2 თეთრი/წუთი;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 10 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 4 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი 4 თეთრი/წუთი.
100 SMS უფასო შემდეგ - 3 თეთრი.

სს „სილქნეტი“ **VoIP** მომსახურებისათვის მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს:

7 ლარიანი პაკეტი

ზარები საკუთარ ქსელში უფასო;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი (მაგთი ფიქსი ზუგდიდი) 6 თეთრი/წუთი.

10 ლარიანი პაკეტი

ზარები საკუთარ ქსელში უფასო;
ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;
მობილურ ქსელში ზარი 20 თეთრი/წუთი;
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;
უსადენო ქსელში ზარი (მაგთი ფიქსი ზუგდიდი) 6 თეთრი/წუთი.

„ახალი ქსელების“ ჯგუფი

შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ფიქსირებული ტელეფონის ერთ-ერთ უმსხვილეს მიმწოდებელს, რომელიც უზრუნველყოფს ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს, ინტერნეტს (როგორც xDSL, ასევე ოპტიკურ-ბოჭკოვანს), IPTV და IP-სატელეფონო მომსახურებებს.

„ახალი ქსელები“ წარმოადგენს T&T ჯგუფის წევრს, რომელიც შედგება შემდეგი ფიქსირებული ქსელის საცალო ხმოვანი მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისგან:

- შპს „სი-ჯი-სი“

- შპს „ახტელი“

- შპს „ჯი-თი-სი“

- შპს „ივერია ქსელი“

შპს „ახალი ქსელები“ მომხმარებელს სადენიან ფიქსირებულ ქსელზე სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტებს:

ქ. თბილისი

„პაკეტი 1“ - პაკეტის ღირებულება 3 ლარი

საკუთარ ქსელში 300 წუთი უფასო საუბარი, შემდეგ 2 თეთრი/წუთზე (8:00-24:00) და 1 თეთრი/წუთზე (24:00-08:00) პერიოდში;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

სხვა უსადენო ქსელში ზარი 5 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 2“ - პაკეტის ღირებულება 5 ლარი

ლოკალური ზარი შიდა ქსელში - უფასო;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

სხვა უსადენო ქსელში ზარი 5 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 3“ - პაკეტის ღირებულება 6 ლარი

ლოკალური ზარი შიდა ქსელში - უფასო;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ადგილობრივი ზარი 4 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი მაგთი/ჯეოსელი 12 თეთრი/წუთი და მობიტელი 18 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

ქ. ქუთაისი

„პაკეტი 1“ - პაკეტის ღირებულება 3 ლარი

საკუთარ ქსელში 300 წუთი უფასო საუბარი, შემდეგ 2 თეთრი/წუთზე (8:00-24:00) და 1 თეთრი/წუთზე (24:00-08:00) პერიოდში;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ლოკალური ზარი 5 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

სხვა უსადენო ქსელში ზარი 5 თეთრი/წუთი.

„პაკეტი 2“ - პაკეტის ღირებულება 5 ლარი

ლოკალური ზარი შიდა ქსელში - უფასო;

სხვა ფიქსირებულ ქსელში ლოკალური ზარი 5 თეთრი/წუთი;

სხვა მობილურ ქსელში ზარი 28 თეთრი/წუთი;

საქალაქთაშორისო ზარი სხვა ფიქსირებულ ქსელში 6 თეთრი/წუთი;

სხვა უსადენო ქსელში ზარი 5 თეთრი/წუთი.

დასკვნა: ზემოთ მოცემული სატარიფო გეგმების მიხედვით ერთი და იგივე ავტორიზებული პირის მიერ დედაქალაქსა და რეგიონებში ფიქსირებულ საცალო ხმოვან მომსახურებაზე დაწესებული ფასები განსხვავებულია რეგიონებში არსებული კონკურენციიდან გამომდინარე.

საბაზრო წილები

მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015-2018 წლების პერიოდში ფიქსირებული ქსელის ყველა ტექნოლოგიისათვის ავტორიზებული პირების მიხედვით მოცემულია ცხრილი N9-ში


ცხრილი N9

კომპანია	2015		2016		2017		2018	
	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი
სილქნეტი	385,797	34,534,367	361,300	30,480,248	331,988	27,037,584	297,008	23,446,922
მაგთიკომი	298,929	9,272,556	228,276	6,646,167	168,548	4,903,243	121,463	3,581,768
ახალი ქსელები	98,751	6,286,162	94,864	5,421,441	78,031	4,615,541	69,278	3,916,745
ახტელი	56,387	3,896,222	54,176	3,419,255	46,256	3,109,157	41,272	2,680,622
სი ჯი სი	21,058	914,245	19,957	866,098	17,546	791,816	14,398	672,180
სხვა დანარჩენი	27,318	2,149,530	30,859	3,473,585	32,344	6,101,759	39,140	6,507,023
სულ	888,240	57,053,082	789,432	50,306,794	674,713	46,559,100	582,559	40,805,260

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ძირითადი მონაწილეების შემოსავლები და აბონენტების რაოდენობა წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის სხვა მონაწილეების შემოსავლები 2018-ში 2015 წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა, რაც ბაზრის ამ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესუსტების მაჩვენებელია.


გრაფიკი N10-ზე მოცემულია საბაზრო ხვედრითი წილები შესახებ ინფორმაცია შემოსავლების და კომპანიების მიხედვით 2015 -2018 წლებში

გრაფიკი N10




გრაფიკი N11-ზე მოცემულია საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ ინფორმაცია აბონენტების და კომპანიების მიხედვით 2015 -2018 წლებში

გრაფიკი N11



გრაფიკი N12-ზე მოცემული 2018 წლის განმავლობაში ფიქსირებულ ქსელში დასრულებული ზარების მოცულობა (ტრაფიკი) კომპანიების მიხედვით

გრაფიკი N12



ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული არეალისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

ცხრილი N13- ში მოცემულია ავტორიზებული პირების და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილები შემოსავლების მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცხრილი N13

2015	სილქნეტი	მაგთიკომი (a-neti; Caucasus online; Magticom)	ახალი ქსელები	სი-ჯი-სი	სხვა
აჭარა	98%	2%			
მთლიანი საქართველო (CDMA)		96%			4%
გურია	100%				
იმერეთი	48%		52%		
კახეთი	100%				
ქვემო ქართლი (რუსთავი)	49%			45%	7%
მცხეთა მთიანეთი	100%				
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100%				
სამეგრელო-ზემო სვანეთი	90%	4%	2%		4%
სამცხე-ჯავახეთი	100%				
შიდა ქართლი	100%				
თბილისი	68%	3%	12%		17%

ცხრილი N14- ში მოცემულია ავტორიზებული პირების და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილები შემოსავლების მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2018	სილქნეტი	მაგთიკომი (a-neti; Caucasus online; Magticom)	ახალი ქსელები	სიჯისი	სხვა
აჭარა	98%	2%			
მთლიანი საქართველო (CDMA)		81%			19%
გურია	100%				
იმერეთი	46%		54%		
კახეთი	100%				
ქვემო ქართლი (რუსთავი)	41%			50%	9%
მცხეთა მთიანეთი	100%				
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100%				
სამეგრელო-ზემო სვანეთი	96%	1%	4%		
სამცხე-ჯავახეთი	100%				
შიდა ქართლი	100%				
თბილისი	58%	2%	9%		31%

ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, გეოგრაფიული ზონების მიხედვით, ავტორიზებული პირების მიერ დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილები ბოლო სამი წლის (2015 vs 2018) განმავლობაში თითქმის არ იცვლება, ამასთან მნიშვნელოვანად იცვლება მთლიანად ამ მომსახურებაზე აბონენტების რაოდენობა (VoIP ტექნოლოგიის გარდა) და შემოსავლების საერთო მოცულობა.

რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა

საქართველოში შინამეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება მიეწოდება. შესაბამისად, მოსახლეობას საშუალება აქვს VoIP-ის გამოყენებითაც მიიღოს ხმოვანი ფიქსირებული საცალო მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე ფართოზოლოვანი ქსელის მქონე ავტორიზებულ პირებს, ფიქსირებული ხმოვანი მომსახურების მიწოდებისათვის დამატებით მნიშვნელოვანი ინვესტიციებს განხორციელება არ ესაჭიროება.

ფიქსირებული ქსელებიდან განხორციელებული ზარების დიდი ნაწილი კვლავ PSTN ტექნოლოგიებზე მოდის. 2018 წლის ბოლოს, ფიქსირებული ქსელებიდან წამოწყებული ტრაფიკის დაახლოებით 65% PSTN-ს ეკუთვნის. თუმცა, ეს წილი მცირდება და პირიქით იზრდება IP ქსელიდან წამოწყებული ზარები. ამ ტენდენციას მხარს უჭერს ზოგადი ბაზრის განვითარება. შესაბამისად ტრადიციული სატელეფონო ინფრასტრუქტურის კონტროლთან დაკავშირებული ბაზარზე შესვლის ბარიერები მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ უფრო შემცირდება.

მომგებიანობა

დროთა განმავლობაში მაღალი მომგებიანობის არსებობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მაჩვენებელია. ოპერატორებმა ვერ შეძლეს უფრო მაღალი ფასების შენარჩუნება, ვიდრე ისინი იქნებოდა ბაზარზე ეფექტური კონკურენციის დროს. შემოსავალი ერთ აბონენტზე წლების განმავლობაში მცირდება, როგორც სს „სილქნეტისთვის“, ასევე სხვა ბაზრის ძირითადი მიმწოდებლებისათვის.


შემოსავალი ერთ აბონენტზე (ARPU) ავტორიზებული პირებისა და წლების მიხედვით მოცემულია ცხრილი N15-ში (ლარებში)

ცხრილი N15

კომპანიები	2015	2106	2017	2018
ახალი ქსელები	5.30	4.76	4.93	4.71
ახტელი	5.76	5.26	5.60	5.41
CGC	3.62	3.62	3.76	3.89
გლობალ ერთი	3.45	3.36	2.89	3.54
მაგთიკომი	2.04	1.90	2.06	2.26
სერვისნეტ	1.80	2.10	2.33	2.11
სილქნეტი	7.29	6.87	6.61	6.40
ჯეონეთი	2.25	2.73	2.65	2.52

ერთ აბონენტზე (ARPU) შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა ბაზრის ძირითად მონაწილეებს, ამასთან, შემოსავლების ასეთი შემცირების გამო სს „სილქნეტმა“ ქვეყნის მთელი მასშტაბით საბაზრო პოზიციებიც დაკარგა. თუ 2015 წლის მდგომარეობით ქვეყნის მთელი მასშტაბით შემოსავლების 61 პროცენტს ფლობდა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლების ხვედრითი წილი 57 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან გაიზარდა ბაზარზე სხვა (არაძირითადი) მიმწოდებლების საბაზრო ხვედრითი წილები აღნიშნული მომსახურებიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებში (2015- 4%, 2018 -16%).

გრაფიკი N16-ზე მოცემულია საშუალოდ ერთი აბონენტის მიერ მოხმარებული ხმოვანი მომსახურების (ტრაფიკის) შესახებ ინფორმაცია (MOU) ავტორიზებული პირების მიხედვით 2015-2018 წლებში (წთ.)



საბითუმო მომსახურებების რეგულირება

ზარის წამოწყება

კომისიის 2017 წლის 7 სექტემბერის N684/19 გადაწყვეტილებით, ფიქსირებულ ქსელში სატელეფონო ზარების დასრულების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი შემცირდა 2 თეთრიდან 0,28 თეთრამდე. ამავე გადაწყვეტილებით, საბითუმო ტარიფები შემცირდა ფიქსირებულ ქსელში ზარის წამოწყების მომსახურებაზე 2 თეთრიდან 0,38 თეთრამდე. შესაბამისად, ფიქსირებულ ქსელში ზარის წარმოწყების ბაზარზე (საბითუმო ბაზარზე) არსებულმა სატარიფო რეგულირებამ და დაბალმა ტარიფებმა (2019 წლის 15 იანვრიდან ზარის წამოწყების ტარიფი 0,38 თეთრია) ხელი უნდა შეუწყოს ფიქსირებულ საცალო ხმოვან მომსახურებებზე ტარიფების შემცირებას და ბაზარზე წინასწარი არჩევის დაშვების კოდით სხვადასხვა ოპერატორებისაგან მიიღოს სატელეფონო ხმოვანი მომსახურება.

სპილენძის წყვილები

კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილებით („საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“) სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების მომსახურებაზე დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფი თვეში 2,20 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე). არსებულმა სატარიფო რეგულირებამ და დაბალმა ტარიფებმა არ უზრუნველყო ალტერნატიული ავტორიზებული პირების მხრიდან PSTN ტექნოლოგიაზე აბონენტებისთვის მიწოდების მასშტაბური მცდელობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი PSTN ტექნოლოგიაზე აბონენტების საერთო რაოდენობის წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირებაა.

ფიქსირებული ხმოვანი საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ანალიზის შედეგები

ფიქსირებული საცალო ხმოვან მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე გეოგრაფიული ზონების მიხედვით, ავტორიზებული პირების მიერ დაკავებული საბაზრო ხვედრითი წილები ბოლო სამი წლის (2015 vs 2018) განმავლობაში თითქმის არ იცვლება, ამასთან მნიშვნელოვნად იცვლება მთლიანად ამ მომსახურებაზე აბონენტების რაოდენობა (VoIP ტექნოლოგიის გარდა) და მიღებული შემოსავლების საერთო მოცულობა. აღსანიშნავია, რომ ერთ აბონენტზე (ARPU) შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა ბაზრის ძირითად მონაწილეებს, ამასთან, შემოსავლების ასეთი შემცირების გამო სს „სილქნეტმა“ ქვეყნის მთელი მასშტაბით საბაზრო პოზიციებიც დაკარგა. თუ 2015 წლის მდგომარეობით ქვეყნის მთელი მასშტაბით შემოსავლების 61 პროცენტს ფლობდა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლების ხვედრითი წილი 57 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან, გაიზარდა ბაზარზე სხვა (არაძირითადი) მიმწოდებლების საბაზრო ხვედრითი წილები აღნიშნული მომსახურებიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებში (2015- 4%, 2018 -16%). აღნიშნული ბაზრის სეგმენტზე სხვა არაძირითადი მიმწოდებლები მომსახურებას VoIP ტექნოლოგიებით ეწევიან. სს „სილქნეტს“ ერთის მხრივ შეუმცირდა „PSTN“ ტექნოლოგიაზე შემოსავლები და აბონენტების რაოდენობა, თუმცა მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად გაეზარდა „VoIP“ ტექნოლოგიაზე აბონენტების რაოდენობა.

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 680 ათასი აბონენტი სარგებლობდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ან სპილენძის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინტერნეტ მომსახურებით. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად, მომხმარებლები სარგებლობენ ფიქსირებული ხმოვანი მომსახურების VoIP ტექნოლოგიების OTT აპლიკაციებით. „PSTN“ და „CDMA“ ტექნოლოგიებზე აბონენტების რაოდენობის, შემოსავლების და ამ ტექნოლოგიებიდან განხორციელებული ზარების (ტრაფიკის) შემცირების ტენდენცია მოცემულია გრაფიკი N 7, N10 და N11 - ზე. აღსანიშნავია, რომ ფიქსირებული ხმოვანი მომსახურების მომხმარებლების რაოდენობა წლების განმავლობაში პერმანენტულად მცირდება, კლებადია ასევე ერთი აბონენტიდან მიღებული შემოსავალიც და ამასთან ერთად, ასევე მცირდება ერთი აბონენტის მიერ განხორციელებული ზარების რაოდენობაც (გრაფიკი N15). იმის გათვალისწინებით, რომ ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე კონკურენციის უზრუნველყოფისათვის რეგულირდება ფიქსირებულ ქსელში ზარის წამოწყებისა და ზარის დასრულების საბითუმო მომსახურებები, ამიტომ ფიქსირებული საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის რეგულირება არ არის მიზანშეწონილი.

მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურება

მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას, კომისია ადგენს აღნიშნული ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრებს მომსახურების სახეებისა და შესაბამისი გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით. კომისია განსაზღვრავს იმ ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეებს, რომლებიც მიეკუთვნება ბაზრის შესაბამის სეგმენტს. ურთიერთშენაცვლებადობის მახასიათებლებია: მომსახურების ფასი, მიზნობრივი გამოყენება, ფუნქციონალურობა და სხვა შესაბამისი მახასიათებლები. ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების განსაზღვრისას, ასევე საჭიროა შესაბამის მომსახურებაზე მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის გათვალისწინება.

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული არეალებისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას, კომისია უფლებამოსილია ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განსაზღვროს ერთიანი ეროვნული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში ან დაყოს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული კონკურენციის სხვადასხვა შეზღუდვების მიხედვით.

მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებების განსაზღვრა

საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტი შემდეგი ტექნოლოგიების და პლატფორმების საშუალებით მიეწოდება მომხმარებლებს:

- ინტერნეტ ტელევიზია
 - xDSL ტექნოლოგია
 - FO ტექნოლოგია
- სატელიტური
- საკაბელო
- რადიოსიხშირული სპექტრით
 - მიტრისი


o MMDS

ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობა, რომელიც საქართველოში 2015 წელს დაინერგა, შესაძლებელს ხდის უფასო არხების მიღებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. მულტიპლექსების მიერ გავრცელებული საეთერო ციფრული მაუწყებლობით საქართველოში შინამეურნეობის დაახლოებით 30-35% სარგებლობს. ამ ტექნოლოგიით მოსარგებლეთა რაოდენობა პროცენტულად ბევრად მაღალია რეგიონებში, ვიდრე თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში.

გარდა ზემოაღნიშნული ტექნოლოგიებით და პლატფორმებით მაუწყებლობის ტრანზიტის მომხმარებლებისთვის მიწოდებისა, სხვადასხვა ე.წ. „OTT“ აპლიკაციების საშუალებით და ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მაღალხარისხიანი ინტერნეტ-ვიდეო მომსახურება (მაგ. უფასო ონლაინ ვიდეო ხელმისაწვდომია „YouTube“ ით). მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ ამავე აპლიკაციების საშუალებით უფასოდ ან შესაბამისი საფასურის გადახდით სხვადასხვა სატელევიზიო არხებთან წვდომა. საქართველოში ამის მაგალითია სს „სილქნეტი“ (silktv.ge), შპს „აი თი დი სი“ (myvideo.ge) და კტვ I (shoni-tv.ge)

გრაფიკი N 17-ზე მოცემულია აბონენტების რაოდენობა სხვადასხვა ტექნოლოგიების მიხედვით 2015 -2018 წლების პერიოდში

გრაფიკი N 17



2015-დან 2018 წლამდე საანალიზო პერიოდში მაუწყებლობის ტრანზიტის მომხმარებლები 451 ათასიდან დან 640 ათასამდე გაიზარდა. მომხმარებელთა ზრდა გამოწვეულია „IPTV-ოპტიკაზე“ აბონენტების სწრაფი ზრდით. აღნიშნულ პერიოდში შემცირდა კაბელური

კაბელით და „IPTV-DSL“ ტექნოლოგიაზე აბონენტების რაოდენობა, თუმცა გაიზარდა DVBT (ციფრული მაუწყებლობის) და ინტერნეტ-ტელევიზიის აბონენტების რაოდენობა.

ცხრილი N18-ში მოცემულია ინფორმაცია 2015 -2018 წლების განმავლობაში ტექნოლოგიების მიხედვით აბონენტების რაოდენობის დინამიკის შესახებ

ცხრილი N18


	2015 I	2015 II	2016 I	2016 II	2017 I	2017 II	2018 I	2018 II
კოაქსიალური	63,437	59,489	55,507	52,833	45,467	39,065	34,046	32,877
IPTV-DSL	32,929	32,301	31,612	34,931	36,842	32,713	29,245	24,220
IPTV-ოპტიკა	108,127	124,667	134,657	155,797	218,157	306,661	357,998	416,005
თანამგზავრული	103,452	115,507	100,904	103,280	98,906	101,279	90,051	76,714
ინტერნეტ-ტელევიზია	990	2,266	2,185	3,451	2,555	1,897	1,700	18,826
მიტრისი	24,438	50,911	55,857	57,653	55,653	49,900	44,444	37,325
DVBT	26	30	19	37	470	6,026	11,045	18,269
MMDS	54,120	65,913	42,732	43,996	40,019	35,246	27,152	15,935
სულ	387,519	451,084	423,473	451,978	498,069	572,787	595,681	640,171

მაუწყებლობის ტრანზიტი მომხმარებელს მიეწოდება, როგორც ცალკე ინდივიდუალურად ჰომოგენურ პაკეტში, ასევე შერეულ პაკეტებში. ცხრილი N19-ში მოცემულია მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებიდან 2018 წელს მიღებული შემოსავლები შეთავაზებების მიხედვით.

ცხრილი N19


ჰომოგენურ პაკეტები	შერეულ პაკეტში სხვა მომსახურებებთან ერთად			სულ
	ორმაგი	სამმაგი	ოთხმაგი	
50,968,694	27,892,691	12,302,341	4,679,293	95,843,018
53%	29%	13%	5%	100%

მოცემული ინფორმაციით დგინდება, რომ ინდივიდუალურად და სხვა მომსახურებასთან ერთად გაყიდული მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების ხვედრითი წილი ამ მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებში თითქმის თანაბარია (ჰომოგენური პაკეტები 53%, შერეული პაკეტები 47%).



შერეული პაკეტების (რამდენიმე მომსახურების ერთდროულად) შეთავაზების საშუალება გააჩნიათ მხოლოდ დივერსიფიცირებული მომსახურებების მქონე ავტორიზებულ პირებს, ძირითადად კონვერტირებული ფიქსირებული და მობილური ქსელის ოპერატორებს.

გრაფიკი N 21-ზე მოცემულია მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებაზე საშუალო ფასები 2015 -2018 წლების განმავლობაში



ცხრილი N22-ში მოცემული მაუწყებლობის ტრანზიტზე ტექნოლოგიების მიხედვით საშუალო ფასების ტენდენცია.

ცხრილი N22

	2015 I	2015 II	2016 I	2016 II	2017 I	2017 II	2018 I	2018 II	ცვლილება 2018 II vs 2015 I
კოაქსიალური	8	9	9	9	9	11	11	11	30%
IPTV-DSL	16	14	14	10	11	9	9	10	-40%
IPTV-ოპტიკა	15	18	20	22	24	27	29	21	43%
თანამგზავრული	9	5	5	5	5	6	6	6	-34%
ინტერნეტ-ტელევიზია	9	8	10	10	10	10	10	7	-27%
მიტრისი	9	8	8	8	8	8	8	9	-3%
DVBT	14	16	17	14	8	7	11	12	-14%
MMDS	11	12	11	12	11	11	11	10	-8%

ცხრილი N 22-დან იკვეთება, რომ სატარიფო პოლიტიკის თვალსაზრისით ფასები „IPTV-ოპტიკა“ ტექნოლოგიაზე სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით ფასები ყველაზე უფრო მაღალია. ამასთან, სხვა ტექნოლოგიებზე ფასების შემცირების მიუხედავად ფასები „IPTV-ოპტიკაზე“ 2015 წელთან შედარებით 2018-ში 43%-ით გაზრდილია.

ბაზრის მონაწილეები

2018 წლის ბოლოს მდგომარებით მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას საქართველოს მასშტაბით სულ 51 ავტორიზებული პირი ეწევა, საიდანაც მხოლოდ რამდენიმე წარმოდგენილი მთლიანად რეგიონში ან დიდ ქალაქში, დანარჩენი ავტორიზებული პირი რომელიმე კონკრეტულ დასახლებაში, სოფელში ან დიდი ქალაქის უბანში არის წარმოდგენილი.

„მაგთიკომი“

შპს „მაგთიკომი“ უზრუნველყოფს ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურების IPTV და სატელიტური ტექნოლოგიების საშუალებით მიწოდებას. 2016 წლის შპს „კავკასუს ონლაინის“ საოპერაციო აქტივების შეძენის შემდეგ შპს „კავკასუს ონლაინის“ აბონენტებს მომსახურებას უწევს შპს „მაგთიკომი“

დაფარვის არეალებია: თბილისი, აჭარა (ბათუმი, ქობულეთი), გურია, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი

„სილქნეტი“

სს „სილქნეტი“ უზრუნველყოფს ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურების IPTV და MITRIS ტექნოლოგიების საშუალებით მიწოდებას. 2017 წლის 21 დეკემბერს სს „სილქნეტმა“ შეიძინა შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ საოპერაციო აქტივები. 2018 წლიდან შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ („გლობალ TV“) აბონენტებს მომსახურებას უწევს სს „სილქნეტი“.

დაფარვის არეალებია: თბილისი, აჭარა (ბათუმი, ქობულეთი), გურია, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი

„სერვის ბოქსი“

„სერვისბოქსი“ მომსახურებას უწევს შპს „ახალი ქსელების“, შპს „ახტელის“ (თბილისი) და შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ (რუსთავი) აბონენტებს.

დაფარვის არეალებია: თბილისი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი.

„სარფი ტვ“

2018 წლიდან „სუპერ ტვ“ -ის აბონენტებს კოაქსიალური კაბელის ტექნოლოგიის გამოყენებით მომსახურებას უწევს „სარფი ტვ“.

დაფარვის არეალები - თბილისი

მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2018 წლების პერიოდში


ცხრილი N23

კომპანია	2015		2016		2017		2018	
	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი	აბონენტები	შემოსავალი
სილქნეტი	148,247	27,507,754	186,607	30,547,952	213,040	34,445,458	227,692	34,900,945
მაგთიკომი	168,535	13,917,372	159,647	18,665,891	254,849	25,307,199	308,535	44,666,630
სუპერ ტვ	65,814	7,224,623	43,692	8,093,564	34,990	7,312,026	15,562	4,787,895
სხვა	67,267	8,854,037	58,931	8,646,592	68,670	8,760,617	86,411	11,487,404
სულ	449,863	57,503,786	448,877	65,953,999	571,549	75,825,300	638,200	95,842,874

საბაზრო ხვედრითი წილები

საბაზრო ხვედრითი წილები შემოსავლების და კომპანიების მიხედვით, მთლიანი საქართველო 2015 -2018 წლები

გრაფიკი N24



მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი

ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული არელებისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

ცხრილი N25-ში მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონალურ დონეზე მაუწყებლობის ტრანზიტის მიმწოდებელი ავტორიზებული პირების შესახებ ინფორმაცია.

ცხრილი N25

რეგიონი	კომპანიების რაოდენობა			
	2015	2016	2017	2018
თბილისი	36	28	26	26
აჭარის არ	11	13	13	7
გურია	3	3	4	4
იმერეთი	13	11	12	11
კახეთი	9	8	8	8
მცხეთა-მთიანეთი	4	5	4	4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	1	2	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	9	9	8
სამცხე-ჯავახეთი	6	8	7	7
ქვემო ქართლი	7	9	9	10
შიდა ქართლი	7	7	8	7

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 2018 წლის მდგომარეობით 26 ავტორიზებული პირია, ვინც მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას ეწევა, შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“ ჯამში ბაზრის 84 პროცენტს ფლობენ.

ცხრილი N26-ში მოცემულია 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ლიდერი კომპანიები, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

ცხრილი N26

2015	სილქნეტი (Global contact consulting, Silknet)	მაგთიკომი (Caucasus online; delta-neti, Magticom)	ტვ ერა	სიჯის ო	იმე რ ტვ	ტვ სარფი (Super TV, TV sarpi)	სხვა
აჭარის ა/რ	22%	34%	35%	-	-	-	9%
გურია	3%	91%	-	-	-	-	6%
იმერეთი	30%	41%	-	-	11%	-	19%
კახეთი	34%	58%	-	-	-	-	8%
ქვემო ქართლი	11%	37%	-	51%	-	-	2%
მცხეთა-მთიანეთი	36%	64%	-	-	-	-	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	100%	-	-	-	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	26%	69%	-	-	-	-	5%
სამცხე-ჯავახეთი	15%	71%	-	-	-	-	14%
შიდა ქართლი	49%	40%	-	-	-	-	12%
თბილისი	38%	28%	-	-	-	26%	9%

შენიშვნა: იმერეთში „სხვა“ გადანაწილებულია შემდეგნაირად - „TV Comm“ -11%, „ალიონი“ - 3%, „გოჩა ლილუაშვილი“ -2%, „TV NET“ -1%, „ვალიდა ცაგარეიშვილი“ 1%, „ზანდო-2004“ - 1%.

ცხრილი N27-ში მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ლიდერი კომპანიები, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

ცხრილი N27

2018	სილქნეტი (Global contact consulting, Silknet)	მაგთიკომი (Caucasus online; delta-neti,	ტვ ერა	სიჯის ო	იმე რ ტვ	ტვ სარფი (Super TV, TV	სხვა
------	--	--	--------	------------	----------------	---------------------------------	------

		Magticom)				sarpi)	
აჭარის ა/რ	46%	39%	13%	-	-	0%	2%
გურია	3%	97%	-	-	-	-	-
იმერეთი	32%	51%	-	-	3%	-	14%
კახეთი	25%	73%	-	-	-	-	2%
ქვემო ქართლი	25%	55%	-	8%	-	1%	12%
მცხეთა-მთიანეთი	27%	73%	-	-	-	0%	0%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	100%	-	-	-	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	28%	65%	-	-	-	1%	7%
სამცხე-ჯავახეთი	19%	77%	-	-	-	-	4%
შიდა ქართლი	51%	45%	-	-	-	-	4%
თბილისი	39%	43%	-	-	-	6%	12%

ტრანზიტული მაუწყებლობის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შპს „მაგთიკომის“ და სს „სილქნეტის“ საბაზრო პოზიცია უფრო გაძლიერდა, რაც კონკურენციის შესუსტების მაჩვენებელია. საქართველოს მთელი მასშტაბით შპს „მაგთიკომი“ საბაზრო ხვედრით წილის 50 პროცენტს 10 რეგიონიდან 8-ში ფლობს. სს „სილქნეტის“ საბაზრო პოზიციები სუსტია რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და გურიის რეგიონებში ხოლო სხვა რეგიონებში 40 %-ს და მეტს მხოლოდ შიდა ქართლში და აჭარაში ფლობს. დანარჩენ რეგიონებში ბაზრის დაახლოებით მეოთხედს ინაწილებს შპს „მაგთიკომთან“ ერთად.

რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების 69% (440 ათას აბონენტს) მომსახურება IP ტელევიზიის საშუალებით მიეწოდება. აღნიშნული მონაცემები 2015 წლის ბოლოს მდგომარეობით 35%-ს შეადგენდა. ტენდენციის თანახმად, აღნიშნული პროპორციული წილი წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 680 ათასი აბონენტი სარგებლობდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ან სპილენძის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინტერნეტ მომსახურებით. საქართველოში ყველაზე უფრო დიდი ქსელი სს „სილქნეტს“ და შპს „მაგთიკომს“ აქვს.

მაღალი ფასები და მომგებიანობა

შემოსავალი ერთ აბონენტზე (ARPU) ავტორიზებული პირებისა და წლების მიხედვით

	2016	2017	2018
TV ERA	12	14	14
იმერ TV	11	9	9
მაგთიკომი (კავკასუსი)	6	8	10
სერვისბოქსი (ახალი ქსელების ჯგუფი)	6	6	11
სილქნეტი (გლობალ ტვ)	15	14	12
ტვ სარფი (სუპერ ტვ)	13	17	10

ერთ აბონენტზე (ARPU) შემოსავალი მნიშვნელოვნად შეუმცირდა შპს „ტვ სარფს“ (სუპერტ ტვ), „იმერ TV“ და „სილქნეტს“ ამასთან, შემოსავლების ასეთი შემცირების გამო კომპანიებმა საბაზრო პოზიციებიც დაკარგეს.

მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ანალიზის შედეგები

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით საქართველოში დაახლოებით 680 ათასი აბონენტი სარგებლობდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ან სპილენძის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინტერნეტ მომსახურებით. მსოფლიოში და საქართველოში არსებული ტენდენციების თანახმად, მომხმარებლები სარგებლობენ სხვადასხვა ე.წ. „OTT“ აპლიკაციების საშუალებით და ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მაღალხარისხიანი ინტერნეტ-ვიდეო მომსახურება (მაგ. უფასო ონლაინ ვიდეო ხელმისაწვდომია „YouTube“-ით). მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ ამავე აპლიკაციების საშუალებით უფასოდ ან შესაბამისი საფასურის გადახდით სხვადასხვა სატელევიზიო არხებთან წვდომა. საქართველოში ამის მაგალითია სს „სილქნეტი“ (silktv.ge), შპს „აი თი დი სი“ (myvideo.ge) და კტვ 1 (shoni-tv.ge). ამასთან ერთად, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა DVBT (ციფრული მაუწყებლობის) და ინტერნეტ-ტელევიზიის აბონენტების რაოდენობა. ევროპული და ამერიკის შეერთებული შტატების მარეგულირებელი ორგანოების პრაქტიკის თანახმად, ტრანზიტული მაუწყებლობის ბაზრის შესაბამისი სეგმენტი არ რეგულირდება. შესაბამისად აღნიშნული ბაზრის სეგმენტის ცალკე გამოყოფა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების განსაზღვრა და მათთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება არ არის მიზანშეწონილი.

ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურება

ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას, კომისია სწავლობს/ადგენს აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტის საზღვრებს მომსახურების სახეებისა და შესაბამისი გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით. კომისია განსაზღვრავს იმ ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეებს, რომლებიც მიეკუთვნება ბაზრის შესაბამის სეგმენტს. ურთიერთშენაცვლებადობის მახასიათებლებია: მომსახურების ფასი, მიზნობრივი გამოყენება, ფუნქციონალურობა და სხვა შესაბამისი მახასიათებლები. ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების განსაზღვრისას, ასევე საჭიროა შესაბამის მომსახურებაზე მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის გათვალისწინება.

ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული არეალებისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას კომისია უფლებამოსილია ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განსაზღვროს ერთიანი ეროვნული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში ან დაყოს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული კონკურენციის სხვადასხვა შეზღუდვების მიხედვით.




ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებების განსაზღვრა

საქართველოში ინტერნეტ მომსახურების მიწოდება უზრუნველყოფილია ოპტიკური ქსელის (ოპტიკა სახლამდე („FTTH“) - წერტილი-მრავალწერტილი („GPON“) და წერტილი-წერტილი („P2P“), სპილენძის ადგილობრივი დაშვების ქსელის („ADSL“ და „ADSL2“ ტექნოლოგიები) და ადგილობრივი რადიო დაშვების (LTE, WiFi და CDMA) ქსელების გამოყენებით.

„ITU“-ს სტანდარტების რეკომენდაციის მიხედვით (რეკომენდაცია NI.113), ინტერნეტი განისაზღვრება მონაცემთა მოცულობის ისეთი სიჩქარით გადაცემა, რომელიც უფრო სწრაფია, ვიდრე „ინტეგრირებული სერვისების ციფრული ქსელით (ISDN)“ გადაცემის სიჩქარეზე - 1.5 ან 2.0 მგბტ/წმ.

საქართველოში აბონენტებისათვის ფიქსირებული ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე 2 მგბტ/წმ-დან 100 მგბტ/წმ-ის ფარგლებშია.

გრაფიკი N30-ზე წარმოდგენილია აბონენტების ხვედრითი წილი ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით 2015 – 2018 წლების პერიოდში



2015 წლის პირველ ნახევარში აბონენტების უმეტესობა 10+ მბ/წმ- სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით (26%) სარგებლობდა. 2018 წლის მეორე ნახევრისთვის 10+ მბ/წმ სიჩქარის მომხმარებელ აბონენტთა რაოდენობა 37%-ით გაიზარდა და ჯამში 63% შეადგინს. 1, 2 და 3 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტის გამოყენების ხვედრითი წილი 2018-ში შემცირდა. 2015 წლის პირველ ნახევარში აბონენტთა 4% -ს 1 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი ჰქონდა, 2018 წლის ბოლოს პროცენტული მაჩვენებელი 3% -ით შემცირდა. 2 მბ/წმ სიჩქარის შემცირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო (12% -დან 2% -მდე). 2015 წლის პირველ ნახევარში 26%-ს შეადგენდა შეადგენდა 3 მბ/წმ სიჩქარის აბონენტების ხვედრითი წილი, რომელიც 2018 წლის ბოლოს 18% -ით შემცირდა.

განსხვავებული ტექნოლოგიები

ITU-ს რეკომენდაციით განსაზღვრული ფართოზოლოვანი მომსახურების სიჩქარის გათვალისწინებით, საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი, xDSL, WiFi და ფიქსირებული LTE ინტერნეტ ტექნოლოგიებით. ყველა ამ ტექნოლოგიას შეუძლია უზრუნველყოს 1,5 ან 2 მგბტ/წმ მინიმალური ინტერნეტ სიჩქარე. მომსახურების სახეების განსაზღვრის თვალსაზრისით, ყველაზე პოპულარული ტექნოლოგიებია ოპტიკურ-ბოჭკოვანი, xDSL და Wifi. სამივე ტექნოლოგია წარმოადგენს საქართველოში ყველაზე ფართო ქსელს (97%). xDSL ტექნოლოგიის ხვედრითი წილი უწყვეტი კლების ტენდენციით ხასიათდება და უფრო დაბალია ვიდრე WiFi ტექნოლოგიით მიწოდებული ინტერნეტის საბაზრო ხვედრითი წილი საქართველოში. WiFi ტექნოლოგიის ხვედრითი წილი შედარებით სტაბილურია და 12.1% და 11.9% შორის მერყეობს.

ცხრილი N31

ტექნოლოგია	2015 I	2015 II	2016 I	2016 II	2017 I	2017 II	2018 I	2018 II
Fibre	54.3%	56.1%	58.3%	60.4%	64.9%	70.2%	73.1%	76.8%
xDSL	32.9%	29.1%	25.5%	22.1%	18.9%	14.0%	10.9%	8.3%
WiFi	12.1%	13.0%	13.3%	13.7%	12.6%	12.4%	13.1%	12.4%
LTE	0.6%	1.6%	2.7%	3.3%	3.2%	3.1%	2.8%	2.6%
Canopy	0.1%	0.1%	0.1%	0.4%	0.4%	0.3%	0.1%	0.0%
Total	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

ფუნქციონალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მომხმარებლები ოპტიკურ ბოჭკოვან და „xDSL“ მომსახურებას განსხვავებული ტექნოლოგიის მიუხედავად, ძირითადად ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებად განიხილავენ. ამასთან, აღნიშნული ტექნოლოგიები ემსახურება მსგავსი ხარისხის და სხვა დამატებითი სერვისების, როგორცაა VoIP და IPTV მიღებას.

ხელმისაწვდომი ინტერნეტ ტექნოლოგიები

„xDSL“ წარმოადგენს ინტერნეტ კავშირის ტექნოლოგიას. რომელიც სპილენძის ქსელზეა დაფუძნებული. ინტერნეტის ხარისხი დამოკიდებულია სპილენძის კაბელების ხარისხზე და საბოლოო მომხმარებელსა და ქსელის კონცენტრაციის წერტილს შორის მანძილზე, მანძილის ზრდის მიხედვით მომსახურების ხარისხი მცირდება. ამ მომსახურების ძირითადი ტექნოლოგიაა - „ADSL“ (ასიმეტრიული ციფრული სააბონენტო ხაზი), რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მაქსიმალური სიჩქარის 6 მგბტ/წმ. ADSL, ADSL2 და ADSL2 +- ის

გაუმჯობესებული ვერსიებს შეუძლია 12 მგბტ/წმ დან 24 მგბტ/წმ სიჩქარის უზრუნველყოფა. ADSL2 და ADSL2 + ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან უზრუნველყონ უფრო მაღალი ინტერნეტის სიჩქარე და IP ტელევიზიის მიწოდებაც.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულია ADSL და ADSL2 ტექნოლოგიები. xDSL ინტერნეტის მთლიანი მოცულობის თითქმის 97% - 6 მგბტ/წმ-მის ჩათვლით ინტერნეტის სიჩქარეს უზრუნველყოფს, ხოლო 6 მგბტ/წმ უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი DSL ტექნოლოგიის მომხმარებლების 3% -ზე მეტს აქვს.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო ქსელს, სადაც ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელი ქსელის ძირითადი კვანძიდან საბოლოო მომხმარებლამდე მთლიანად ან ნაწილობრივად დამონტაჟებული.

საქართველოში, ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის შემდეგი ტექნოლოგიები „FTTB“, „FTTH“, „P2P“ და „GPON“ გამოიყენება. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით ოპტიკური ბოჭკოვანი ინტერნეტის 97 პროცენტზე მეტს 6 მგბტ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტი ჰქონდა.

WiFi არის წერტილი მრავალწერტილის ტექნოლოგია, სადაც კავშირი საბოლოო მომხმარებლთან კაბელის გარეშე უზრუნველყოფილი. WiFi ტექნოლოგიით უზრუნველყოფილი სიჩქარეები მსგავსია ADSL ინტერნეტის სიჩქარის. 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით WiFi ინტერნეტის 78% -ზე მეტი მომხმარებელი 6 მგბტ/წმ- ის ჩათვლით სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობდა.

ბაზრის ანალიზის მიზნებისთვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი, XDSL და WiFi ტექნოლოგიები ბაზრის ერთი და იგივე სეგმენტს უნდა მიეკუთვნოს.

მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით


ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების სიჩქარეების მიხედვით ბაზრის სეგმენტაციის თაობაზე მსჯელობისას, განხილულ იქნა მიწოდების მხარის ჩანაცვლების შესაძლებლობები და დადგინდა, რომ აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებს, კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებით შეუძლიათ დაუყოვნებლივ ან/და ხანმოკლე პერიოდში უზრუნველყონ მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე სხვადასხვა სიჩქარის ინტერნეტის მომხმარებლებისათვის მიწოდება. გარდა ამისა, მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ინტერნეტის სიჩქარეებში არ არის ისეთი პაკეტები, რომლებიც სხვადასხვა მომსახურების მიღების მიზნით, არ შეიძლება ურთიერთჩანაცვლებადი რომ არ იყოს. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის სიჩქარის ზრდასთან ერთდ იზრდება პაკეტის ღირებულება, რაც მომხმარებლის შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს მისთვის სასურველი სიჩქარის ინტერნეტი. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გამტარუნარიანობის მიხედვით მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია არ არის მიზანშეწონილი.

ფიქსირებული ინტერნეტის გეოგრაფიული საზღვრები


ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, კომისია ადგენს მომსახურების მიწოდების და მოთხოვნის იმ გეოგრაფიულ ზონას, რომლის ფარგლებშიც ავტორიზებული პირ(ებ)ი ეწევიან შესაბამის საქმიანობას. შესაბამისი გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას აუცილებელი პირობაა, რომ კონკურენციის პირობები იყოს მსგავსი ან ერთგვაროვანი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი იმ მახლობელი გეოგრაფიული არეალებისგან გამორჩევა, სადაც კონკურენციის არსებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

გრაფიკზე N2-ზე მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონალურ დონეზე ინტერნეტ ტექნოლოგიების მიხედვით აბონენტების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ ინფორმაცია.

გრაფიკი N32




აბონენტების განაწილება ტექნოლოგიებისა და რეგიონების მიხედვით 2018 წელს



გრაფიკი N3-ზე მოცემულია რეგიონების და ტექნოლოგიების მიხედვით ინტერნეტ საცალო მომსახურების მიმწოდებლების (პროვაიდერების) შესახებ ინფორმაცია როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისთვის.

გრაფიკი N33

Fiber -ისა და xDSL-ის პროვაიდერების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2018 წლის ბოლოს ყველა ტიპის აბონენტისთვის



სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, საბაზრო ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები და განსხვავებული კომერციული პირობები.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში განსხვავებული კონკურენტული პირობებია, ამიტომ ფიქსირებული ინტერნეტის გეოგრაფიული საზღვრები დადგენილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

რეგულირებას დაქვემდებარებული ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის შესაბამის სეგმენტის განსაზღვრა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების მიწოდების ნებისმიერ ტექნოლოგიისთვის (xDSL, wi-fi, ოპტიკურ-ბოჭკოვანი) და ინტერნეტის მომსახურების მიწოდების ყველა სიჩქარისთვის (1მბ/წმ, 2 მბ/წმ, ... 100 მბ/წმ,) განისაზღვრა:

- ფიზიკური და იურიდიული პირების ფიქსირებული ინტერნეტ საცალო მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები განისაზღვრა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

სამი კრიტერიუმის ტესტი

იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო, ექვემდებარება თუ არა ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას, ჩატარებული იქნა სამი კრიტერიუმის ტესტი. რომლიც გულისხმობს, რომ ქვემოთ (ა, ბ, გ პუნქტებში) შეფასებული სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში ბაზრის შესაბამისი სეგმენტი წინასწარ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

ა) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის სტრუქტურული ან/და სამართლებრივი ბარიერების შეფასება

ა.ა) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის დამაბრკოლებელი გარემოებები შეფასდა მომავალზე ორიენტირებული პრინციპების გათვალისწინებით. ანალიზის ჩატარებისას არ იქნა გათვალისწინებული ისეთი დროებითი დაბრკოლებები, რომლებიც დროის მოკლე მონაკვეთში დაძლევადა.

ა.ბ) სამართლებრივი და მარეგულირებელი თვალსაზრისით პოტენციური კონკურენტებისათვის ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის ბარიერები არ არსებობს. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და ამ ქსელებით მომსახურების გაწევის გარემო სრულად ლიბერალიზებულია. ბაზარზე არსებული ან ბაზრის ამ სეგმენტზე შესვლის პოტენციური ავტორიზებული პირებისათვის მინიმალური მოთხოვნებია .

ა.გ) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი მაღალი სტრუქტურული ბარიერებით ხასიათდება, რადგან საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდება მაღალ საინვესტიციო ხარჯებთან და ქსელის აგების ხანგრძლივ დროსთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ბაზრის ამ სეგმენტს ახასიათებს შესვლის არაგარდამავალი ბარიერების არსებობა, რომლის გადალახვა ორიდან სამი წლის განმავლობაში შეუძლებელია.

ა.დ) სპილენძის წყვილებით საბითუმო მომსახურების რეგულირების პირობებში, მხოლოდ რამდენიმე ავტორიზებულმა პირმა შეძლო ამ მომსახურების გამოყენება, რომელიც ძალიან


მცირე გეოგრაფიული არეალით შემოიფარგლებოდა. აღნიშნულმა ვერ უზრუნველყო ინტერნეტის საცალო ბაზარზე მნიშვნელოვანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება.

ბ) ბაზარზე კონკურენციის პოტენციური ტენდენციების შეფასება

ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ეფექტიანი კონკურენციისადმი მიდრეკილება დადგინდა შემდეგი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე:

დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მხოლოდ ორი კომპანიის, სს „სილქნეტის“ და შპს „მაგთიკომის“ ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურება ხელმისაწვდომი თუმცა, შეზღუდული მოცულობით, ვინაიდან საქართველოს ყველა რეგიონში არ არის ხელმისაწვდომი მაღალ სიჩქარიანი ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურება. ერთის მხრივ, ბაზარზე გრძელდება ორივე კომპანიის აბონენტების ზრდა და სხვადასხვა აქციების გამოცხადება, რომელიც საბაზრო წილის ზრდაში გამოისახება. მეორეს მხრივ, სხვა ოპერატორების კონსოლიდირებული საბაზრო წილი თანდათანობით მცირდება.

გრაფიკი N34



*მაგთიკომის მონაცემებში მოიაზრება-მაგთიკომის, კავკასუს ონლაინის, ა-ნეტის და დელტა - ნეტის აბონენტები

გ) „კონკურენციის შესახებ“ კანონის მოქმედების საკმარისობის შეფასება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ ე.წ. “ex-post” რეგულირების ნორმები ისეთ გავლენას ვერ ახდენს ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე, რომელიც გამოიწვევდა კონკურენციის გაუმჯობესებას. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს შეუძლია ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების ფაქტებზე რეაგირება, თუმცა პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს ბაზრის კონკურენტ მონაწილეებზე.

სამი კრიტერიუმის ტესტის შედეგებია: ჩატარებული სამი კრიტერიუმის ტესტის თანხმად დადგინდა, რომ ფიქსირებული საცალო ინტერნეტის მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სამივე კრიტერიუმი ერთდროულად არსებობს. შესაბამისად აღნიშნული ბაზრის სეგმენტი წინასწარ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

ბაზრის შესაბამის სეგმენტის ანალიზი

ბაზრის ანალიზის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შეფასება, არის თუ არა ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული და განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანად კონკურენტუნარიანი, ანუ წარმოდგენილია თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ერთი ან ერთზე მეტი ავტორიზებული პირი (პირები), რომელსაც ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია.

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის ანალიზისას, შეფასებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- ტექნოლოგიური უპირატესობა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა;
- დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები;
- მასშტაბის ეკონომია;
- მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია);
- ვერტიკალური ინტეგრაცია;
- საცალო გაყიდვების განვითარებული ქსელი;
- პოტენციური კონკურენტების არ არსებობა;
- ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამოყენებული იქნა მხოლოდ იმ კრიტერიუმის კომბინაცია, რომლებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად.

ბაზრის ანალიზისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემები, რაც განსაზღვრავს, ახასიათებს თუ არა ბაზრის შესაბამის სეგმენტს ეფექტიანი კონკურენტის ტენდენცია. ამასთან ერთად, მხოლოდ საბაზრო ხვედრითი წილის შესახებ მონაცემები არ იქნა გამოყენებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების კრიტერიუმად.

ბაზრის ძირითადი მონაწილეები

„მაგთიკომი“

კომპანიამ 2016 წელს შეიძინა მეორე უმსხვილესი ფიქსირებული ინტერნეტის ოპერატორი „კავკასუს ონლაინი“, ხოლო მოგვიანებით იმავე წელს - კიდევ ერთი ფიქსირებული ოპერატორი - „დელტაკომი“, რის შედეგადაც „მაგთიკომი“ იქცა ქვეყნის მასშტაბით

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის მეორე უმსხვილეს ოპერატორად, რომელსაც ფეხდაფეხ მოჰყვება მისი მთავარი კონკურენტი - „სილქნეტი“.

„მაგთიკომი“ ამჟამად უზრუნველყოფს სრულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას, ფიქსირებული და მობილური ტელეფონისა და ინტერნეტ მომსახურებების ჩათვლით, ასევე სატელიტურ და IPTV მომსახურებებს.

„მაგთიკომი“ უზრუნველყოფს ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას საქართველოს უმეტეს რეგიონებში: თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი (ზუგდიდი, ფოთი, სენაკი), შიდა ქართლი (რუსთავი, გორი, კასპი, ქარელი), აჭარა (ზათუმი), კახეთი (ახმეტა, თელავი, ლაგოდეხი, ყვარელი, საგარეჯო, სიღნაღი, გურჯაანი), ქვემო ქართლი (ბოლნისი, თეთრიწყარო, მარნეული, გარდაბანი), მცხეთა-მთიანეთი (მცხეთა, დუშეთი, თიანეთი), სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე, ბორჯომი, ადიგენი), რაც ფარავს საქართველოს შინამეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს, „ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით შენობამდე“ და „ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით სახლამდე“ მომსახურებით. ოპტიკური ინტერნეტით დაფარვისა და აბონენტების რაოდენობის მიხედვით, „მაგთიკომი“ ამჟამად წარმოადგენს უმსხვილეს NGA ოპერატორს.

„სილქნეტი“

„სილქნეტი“ უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების სრულ მომსახურებას ქვეყნის მასშტაბით, მობილურ და ფიქსირებულ ტელეფონის, მობილურ და ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებებსა და IPTV-ს მიწოდებას ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ან DSL ტექნოლოგიის გამოყენებით.

„სილქნეტი“ წარმოადგენს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის უმსხვილეს ოპერატორს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც xDSL, ასევე ოპტიკურ ინტერნეტზე დაშვებას, სადაც ოპტიკური-ბოჭკო ეტაპობრივად ანაცვლებს სპილენძის ხაზებს.

„ახალი ქსელების“ ჯგუფი

შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ფიქსირებული ქსელის ერთ-ერთ უმსხვილეს მიმწოდებელს, რომელიც უზრუნველყოფს ფიქსირებულ სატელეფონო კავშირს, ინტერნეტის (როგორც xDSL, ასევე ოპტიკურ-ბოჭკოვანს), IPTV და IP-სატელეფონო მომსახურებებს.

„ახალი ქსელები“ წარმოადგენს T&T ჯგუფის წევრს, რომელიც შედგება შემდეგი კომპანიებისგან:

- შპს „სი-ჯი-სი“
- შპს „ახტელი“
- შპს „ახალი ქსელები“

„სი-ჯი-სი“ და „ახალი ქსელები“ წარმოადგენენ ფიქსირებული ინტერნეტის მსხვილ პროვაიდერებს, „ახალ ქსელებზე“ მოდის ჯამში 72 ათასი აბონენტის 64% და 64 ათასი ოპტიკური ინტერნეტის აბონენტის 54%, ხოლო „სი-ჯი-სი“-ს საკუთრებაში წარმოდგენილია აბონენტების ჯამური რაოდენობის 20% და ოპტიკური აბონენტების 21%.

„სი-ჯი-სი“ ოპერირებს ქვემო ქართლში (რუსთავი, გარდაბანი).

„ახალი ქსელები“ ოპერირებს თბილისში, სამეგრელო - ზემო სვანეთში (ფოთი), იმერეთში (ქუთაისი), შიდა ქართლში (გორი) და იმერეთში (ზესტაფონი, თერჯოლა).

საბაზრო წილი და საერთო მოცულობა

სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ აბონენტებს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მრავალფეროვან პაკეტებს სთავაზობენ. 2018 წლის ბოლოს სს „სილქნეტის“ მიერ აბონენტებისთვის მიწოდებული ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საერთო ოდენობიდან 70% ოპტიკური ინტერნეტია, 22% xDSL ტექნოლოგიით მიწოდებული, ხოლო დანარჩენი WiFi და LTE ტექნოლოგიით მიწოდებული. შპს „მაგთიკომის“ შემთხვევაში ოპტიკური ინტერნეტი 99 პროცენტს შეადგენს, xDSL ტექნოლოგიით მიწოდებული 0.02%-ს, ხოლო WiFi ტექნოლოგიით - 1%-ს. ბაზარზე მესამე უმსხვილესი ფიქსირებული ინტერნეტ მიმწოდებელია „ახალი ქსელების“ ჯგუფი (ახალი ქსელები, ახტელი, საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია). სს „სილქნეტი“ და შპს „მაგთიკომი“ ერთობლივად წარმოადგენენ NGA ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის სააბონენტო ბაზრის 88%-ს. შპს „ახალი ქსელების“, „სი-ჯი-სი“-ს და „ახტელის“ ჯგუფი ერთობლივად ბაზრის 10% წილის ფლობს, ხოლო 2% გადანაწილებულია ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს შორის.


მონაცემები აბონენტებისა და შემოსავლების შესახებ 2015 -2018 წლების პერიოდში ყველა ტექნოლოგიისთვის

ცხრილი N35

კომპანია	2015		2016		2017		2018	
	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი	აბონენტები	შემოსავალი, ლარი
სილქნეტი	239,855	73,904,024	266,046	79,824,684	278,390	84,053,864	278,114	82,840,935
მაგთიკომი *	188,338	69,289,358	201,227	72,607,815	287,687	84,380,608	369,158	100,251,461
სხვა	166,074	40,681,037	182,418	45,479,883	169,316	44,040,672	177,735	41,551,218
სულ	594,267	183,874,419	649,691	197,912,382	735,393	212,475,144	825,007	224,643,614

**მაგთიკომის მონაცემები მოიცავს-მაგთიკომის, კავკასუს ონლაინის, ა-ნეტის და დელტა - ნეტის აბონენტების შესახებ ინფორმაციას*
 საბაზრო ხვედრითი წილები კომპანიების მიხედვით 2015 -2018 წლებში, მთლიანი საქართველო

გრაფიკი N36



**მაგთიკომის მონაცემები მოიცავს-მაგთიკომის, კავკასუს ონლაინის, ა-ნეტის და დელტა - ნეტის აბონენტების შესახებ ინფორმაციას*
 ცხრილი N37-ში მოცემულია ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე Fiber და xDSL ტექნოლოგიებისთვის ლიდერები კომპანიები გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით 2015 წელი

ცხრილი N37

რეგიონები	სილქნეტი	მაგთიკომი	სიჯისი	ახალი ქსელები /ახტელი	სხვა
აჭარის ა/რ	74%	23%	-	-	3%
გურია	90%	-	-	-	10%
იმერეთი	48%	1%	-	50%	1%
კახეთი	45%	53%	-	-	2%
ქვემო ქართლი	17%	19%	63%	-	1%
მცხეთა-მთიანეთი	36%	62%	-	2%	-

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	99%	1%	-	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	42%	41%	-	14%	3%
სამცხე-ჯავახეთი	87%	13%	-	-	-
შიდა ქართლი	71%	4%	-	21%	3%
თბილისი	42%	48%	-	5%	6%

ცხრილი N38-ში მოცემულია ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე Fiber და xDSL ტექნოლოგიებისთვის ლიდერები კომპანიები გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით 2018 წელი

ცხრილი N38

რეგიონები	სილქნეტი	მაგთიკომი	სიჯისი	ახალი ქსელები	სხვა
აჭარის ა/რ	62%	36%	-	-	2%
გურია	12%	82%	-	-	6%
იმერეთი	33%	39%	-	25%	3%
კახეთი	21%	79%	-	-	-
ქვემო ქართლი	21%	48%	25%	-	5%
მცხეთა-მთიანეთი	9%	90%	-	1%	-
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	86%	14%	-	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	27%	59%	-	11%	2%
სამცხე-ჯავახეთი	37%	57%	-	-	6%
შიდა ქართლი	54%	41%	-	5%	-
თბილისი	36%	53%	-	4%	6%

2015 და 2018 წლებში ავტორიზებული პირების მიერ თბილისში და რეგიონებში საბაზრო ხვედრითი წილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ თუ 2015 წლის ბოლოს მდგომარეობით რუსთავში (ქვემო ქართლი) შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ საბაზრო ხვედრითი წილის 63% ფლობდა, შპს „ახალი ქსელები“ იმერეთში 50%-ს, ხოლო შიდა ქართლში 21 %-ს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რუსთავში (ქვემო ქართლი), შიდა ქართლში და იმერეთში საბაზრო ხვედრითი წილები შპს „მაგთიკომის“ სასარგებლოდ შეიცვალა. შპს „მაგთიკომი“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით ქვეყნის მთელი მასშტაბით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გარდა, მნიშვნელოვან საბაზრო წილს (15 პროცენტზე მეტს) ფლობს. ხოლო სს „სილქნეტი“, გურიასა და მცხეთა-მთიანეთის გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მფლობელია.

ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ფასები

საფასო ტენდენციები - ავტორიზებული პირის მიერ მომსახურებაზე დაწესებული ფასების ისეთი დონე, რომელიც მუდმივად მაღალია (სცილდება კონკურენტულ დონეს) და ამასთან ავტორიზებული პირისთვის მომგებიანია, საბაზრო ძალაუფლების ინდიკატორს/მაჩვენებელს წარმოადგენს. ამ კრიტერიუმის ანალიზისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა ავტორიზებული პირების ტარიფები.

ცხრილი N39

ტექნოლოგია	სიჩქარე	ახალი ქსელები	ახტელი	მაგთი	სი-ჯი-სი	სილქნეტი
	მბ/წმ	ლარი/თვე	ლარი/თვე	ლარი/თვე	ლარი/თვე	ლარი/თვე
DSL ინტერნეტი	1,6	22	22			
	2,4	32	32			
	3				22	24
	3,2	39	39			
	4	49	49			33
	5				32	
	6				39	45
	8				69	65
ოპტიკურ - ბოჭკოვანი ინტერნეტი	10	20		27		26
	20	25	25	30	22	35
	28	35	35			
	30			37	39	
	35					40
	40	40	40			
	50	50	50	50	49	50
	60				79	
	70	70	70			
100	100	100	100		100	

შპს „ახალ ქსელებს“ ყველაზე დაბალი სიჩქარის მქონე ინტერნეტ მომსახურებაზე (1,6 მბ/წმ-ზე, DSL ტექნოლოგიაზე) ფიზიკური პირებისთვის, ქ. თბილისში დაწესებული აქვს ტარიფი 22 ლარი, ხოლო გორში, ზესტაფონში, ზუგდიდში, ქუთაისში, თერჯოლაში და ფოთში 14 ლარი. იგივე ტექნოლოგიით სს „სილქნეტი“ 3 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტს ქ. თბილისში და დანარჩენ რეგიონებში (რუსთავის გარდა) მომხმარებელს აწვდის 24 ლარად, ხოლო რუსთავში 20 ლარად. რუსთავში შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ 3 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტის მიწოდებისათვის დადგენილი აქვს ტარიფი 22 ლარის ოდენობით.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის 10 მბ/წმ სიჩქარით მიწოდებისათვის შპს „მაგთიკომს“, სს „სილქნეტს“ და შპს „ახალ ქსელებს“ დადგენილი აქვთ შემდეგი ტარიფები:

- შპს „მაგთიკომი“ – 27 ლარი (მთელი საქართველო);
- სს „სილქნეტი“ – 26 ლარი (მთელი საქართველო);
- შპს „ახალ ქსელები“ – 20 ლარი (გორში, ზესტაფონში, ზუგდიდში, თერჯოლაში, ქუთაისში, კასპში, ქსანში, რუსთავში და ფოთში).

20 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტის მიწოდებისათვის:

- შპს „მაგთიკომს“ – 30 ლარი (მთელი საქართველო);
- სს „სილქნეტს“ – 35 ლარი (მთელი საქართველო);

- შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს“ – 25 ლარი (თბილისი).

30 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტის მიწოდებისათვის:

- შპს „მაგთიკომი“ – 37 ლარი (მთელი საქართველო);
- შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ – 39 ლარი (რუსთავი);

50 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტის მიწოდებისათვის:

- შპს „მაგთიკომი“ – 50 ლარი (მთელი საქართველო);
- სს „სილქნეტი“ – 50 ლარი (მთელი საქართველო);
- შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ – 49 ლარად (რუსთავი);
- შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს“ – 50 ლარი (თბილისი).

100 მბ/წმ სიჩქარით ინტერნეტის მიწოდებისათვის:


- შპს „მაგთიკომს“ – 100 ლარი (მთელი საქართველო);
- სს „სილქნეტს“ – 100 ლარი (მთელი საქართველო);
- შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს“ – 100 ლარი (თბილისი).

დედაქალაქში დაფიქსირებული ფასების შედარება რეგიონებში არსებულ ფასებთან

რეგიონებში აღინიშნება უმნიშვნელოდ ნაკლები სიჩქარის ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების აბონენტებისათვის შეთავაზება, რომლის ფასი 20-დან 30 ლარამდე ფარგლებში მერყეობს, თუმცა ზოგადად რეგიონებში, დედაქალაქთან შედარებით ფასებსა და ინტერნეტის სიჩქარეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 40 მეგაბიტ-წამზე მაღალი სიჩქარის შეთავაზება ხდება, ექსკლუზიურად ბაზრის წამყვანი 5 მონაწილიდან ერთ-ერთის მიერ. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ჩანს, რომ მცირე ოპერატორები (20.000-ზე ნაკლები აბონენტი) ორიენტირებულნი არიან 1-დან 20 მეგაბიტ-წამამდე ინტერნეტ შეთავაზებებზე. მცირე ოპერატორები მხოლოდ იმ ტერიტორიულ ადგილებში არიან წარმოდგენილნი, სადაც ამჟამად ბაზრის წამყვანი მონაწილეები არ ახორციელებენ მომსახურებას. ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ საბაზრო პირობები და/ან რეგულირება არ უწყობს ხელს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

მიუხედავად საქართველოში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მაღალი საყოველთაო დაფარვისა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის დაფარვის დიდი წილი ფოსკუსირებულია ქალაქებში, ხოლო სოფლებში აღნიშნული დაფარვა შეადგენს მხოლოდ 10%-ს.

რეგიონების მიხედვით ოპტიკურ-ბოჭკოვან ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურასთან დაშვება მოცემულია N11 გრაფიკზე.



რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა

ინვესტიციების გაწევის თვალსაზრისით, ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურებასთან ყველზე ახლოს მყოფი საბითუმო ბაზრის (ე.წ. „bitstream“) რეგულირების არ არსებობის პირობებში, ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტი მაღალი სტრუქტურული ბარიერებით ხასიათდება, რადგან საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდება მაღალ საინვესტიციო ხარჯებთან და ქსელის აგების

ხანგრძლივ დროსთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ბაზრის ამ სეგმენტს ახასიათებს შესვლის არაგარდამავალი ბარიერების არსებობა, რომლის გადალახვა ორიდან სამი წლის პერიოდის განმავლობაში შეუძლებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სპილენძის წყვილებით საბითუმო მომსახურების რეგულირების პირობებში, მხოლოდ რამდენიმე ავტორიზებულმა პირმა შეძლო ამ მომსახურების გამოყენება, რომელიც ძალიან მცირე გეოგრაფიული არეალით შემოიფარგლებოდა. აღნიშნულმა ვერ უზრუნველყო ინტერნეტის საცალო ბაზარზე მნიშვნელოვანი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება.

ვერტიკალური ინტეგრაცია - ორივე ქსელის ოპერატორი ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირია (ფლობენ საკუთარ ქსელს და უზრუნველყოფენ ამ ქსელის საშუალებით საცალო მომსახურებების მიწოდებას). შესაბამისად, მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ აბონენტებისთვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა, შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის პროცესს და მყისიერი რეაგირება მოახდინონ ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე.

მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა - ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე მომსახურების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს არ გააჩნიათ მომსახურების შეძენის ფასზე ან მომსახურების სხვა პირობების ცვლილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე მომსახურების მიმღებების/აბონენტების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათ მიერ მომსახურების შეძენის მოცულობიდან გამომდინარე არ არც ერთ აბონენტს არ გააჩნია ისეთი ძალაუფლება რომ მიმწოდებელს შეაცვლევინოს მომსახურების მიწოდების პირობები მათ შორის, ტარიფები.

მაღალი ფასები და მომგებიანობა


დროთა განმავლობაში მაღალი მომგებიანობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მაჩვენებელია. ოპერატორებმა შეძლეს უფრო მაღალი ფასების შენარჩუნება, ვიდრე ისინი იქნებოდა ბაზარზე ეფექტური კონკურენციის პირობებში.

კონკურენტულ ბაზარზე კონკრეტულ ავტორიზებულ პირებს არ უნდა შეეძლოთ ფასების დანახარჯებზე ბევრად მაღალ დონეზე დაწესება და მაღალი მოგების მიღების შენარჩუნება.

ეფექტური კონკურენციის პირობებში ხარჯების შემცირებას, ფასების შემცირებაც მოჰყვება. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას დომინანტური პოზიციის ფლობა ნიშნავს ავტორიზებული პირის მიერ ფასების ისეთ ზრდას, რომელიც შემოსავლებს მნიშვნელოვანი (5-10%) დანაკარგის გარეშე უზრუნველყოფს.

წლების განმავლობაში მაღალი საბაზრო ხვედრითი წილები არა ეფექტურ კონკურენციაზე მიუთითებს

გრაფიკი N41



გრაფიკი N 42-ზე მოცემული ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ფასების ანალიზიდან ირკვევა, რომ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ინტერნეტ პაკეტების ფასების შესახებ

მონაცემები პაკეტის სიჩქარეების მიხედვით ბაზრის მთავარი მონაწილეებისათვის თითქმის ერთნაირია.

ერთ აბონენტზე მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები ავტორიზებული პირებისა და 2015-2018 წლების მიხედვით

ცხრილი N42

ARPU	2015	2016	2017	2018
სილქნეტი	25.68	25.00	25.16	24.82
მაგთიკომი *	30.66	30.07	24.44	22.63
სხვა	20.41	20.78	21.68	19.48


*მაგთიკომის მონაცემები მოიცავს-მაგთიკომის, კავკასუს ონლაინის, ა-ნეტის და დელტა - ნეტის აბონენტები შესახებ ინფორმაციას

დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები - შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“ სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე უფრო დივერსიფიცირებული მომსახურების სახეების პორტფელს ფლობენ. „მაგთიკომის“ და სს „სილქნეტის“ მიერ მომხმარებლებისათვის შეთავაზებული ფიქსირებული და მობილური ქსელების კონვერგირებული მომსახურების სახეები (სამმაგი და ოთხმაგი შეთავაზებები) მომხმარებლების მხრიდან მომსახურებაზე არჩევანის და მიმზიდველობის თვალსაზრისით, სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უკეთეს პოზიციას ქმნის. აღნიშნული დადებითად აისახება შპს „მაგთიკომის“ საბაზრო ხვედრით წილზე. სს „სილქნეტის“ და შპს „ჯეოსელის“ ქსელების კონვერგაცია არც თუ ისე დიდ ხანია, რაც გამოჩნდა ბაზარზე.

საბითუმო მომსახურება

ტექნოლოგიური უპირატესობის და ინვესტიციების გაწევის თვალსაზრისით, ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურებასთან ყველზე ახლოს მყოფი ე.წ. „bitstream“-ის საბითუმო მომსახურების რეგულირების არ არსებობის პირობებში, ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტი მაღალი სტრუქტურული ბარიერებით ხასიათდება, რადგან აღნიშნული მომსახურების მიწოდება მაღალ საინვესტიციო ხარჯებთან და ქსელის აგების ხანგრძლივ დროსთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ბაზრის ამ სეგმენტს ახასიათებს შესვლის არაგარდამავალი ბარიერების არსებობა, რომლის გადალახვა ორიდან სამი წლის პერიოდის განმავლობაში შეუძლებელია. შესაბამისად, აუცილებელია ინტერნეტის საბითუმო მომსახურებების, მათ შორის, ე.წ. „bitstream“-ის საბითუმო მომსახურების რეგულირება.

ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების ფასების ხარჯზე ორიენტირებულობა
 ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯები ერთ მგბტ/წმ-ზე გაანგარიშებული იქნა შემდეგი ფორმულით :



დანახარჯები ერთ მბ/წმ-ზე = ერთი მბ/წმ-ის თვითღირებულება + საცალოზე მოგების მარჟა

ერთ მბ/წმ-ზე საოპერაციო დანახარჯების დასადგენად გამოყენებული იქნა კომპანიების მიერ წარმოდგენილი 2017 წლის აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში და კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებით“ განსაზღვრული „სრულად განაწილებული დანახარჯების (FDC) გაანგარიშების მეთოდის“ შესაბამისად 2018 წლის ფინანსური და ტექნიკური მონაცემების საფუძველზე მომზადებული ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურებაზე გადანაწილებული შემოსავლებისა და დანახარჯების მოგება-ზარალის ანგარიში (2018 წლის ინფორმაცია წარმოადგინა მხოლოდ შპს „მაგთიკომმა“).

ცხრილი N43 -ში მოცემულია შპს „მაგთიკომის“ ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების საოპერაციო დანახარჯები, ასევე წლის განმავლობაში გაყიდული პაკეტების საშუალო თვიური ჯამური მოცულობა მგბტ/წმ-ში, დატვირთული კაპიტალის ოდენობა და ერთ მბ/წმ-ზე გაანგარიშებული დანახარჯები ლარში.

ცხრილი N43

	აუდირებულ ო	არა'აუდირებული / წინასწარი მონაცემები
ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯები (ათას ლარში)	2017	2018
საოპერაციო ხარჯები	32,807	33,809
არხების იჯარა	11,981	9,557
სატელიტური არხის იჯარა	70	74
ინტერნეტის საფასური	6,546	4,633
კოლოკაცია	1,844	2,517
ტექნიკური მხარდაჭერა	1,609	1,808
სხვა მხარდაჭერა	24	
ჩართვის წერტილის (POP)-ის იჯარა	24	
პერსონალის სახელფასო დანახარჯები	8,146	11,857
ელექტროენერგია	415	551
გაყიდვები და მომხმარებლებზე ზრუნვა	830	1,206
რეგულირების საფასური	622	748
სხვა ხარჯები	696	857
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	5,376	6,575
ტრანსფერული ხარჯები* (ძირითადი ქსელი)	37,200	44,662
ცვეთა	3,035	7,420

	აუდირებულ ო	არა'აუდირებული / წინასწარი მონაცემები
სულ ხარჯები	78,418	92,466
კაპიტალი	32,323	40,693
მოგების მარჟის (კაპიტალის და WACC-ის ნამრავლი)	4,832	6,084
წლის განმავლობაში გაყიდული პაკეტების საშუალო თვიური ჯამური მოცულობა, მგბტ/წმ-ში	5,178,298	7,456,357
დანახარჯო 1 მბ/წმ თვეში, ლარი	1.26	1.03
მოგების მარჟა 1 მბ/წმ-ზე, ლარი	0.08	0.07

ცხრილი N44- ში მოცემულია სს „სილქნეტის“ ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების საოპერაციო დანახარჯები, ასევე წლის განმავლობაში გაყიდული პაკეტების საშუალო თვიური ჯამური მოცულობა მგბტ/წმ-ში, კაპიტალის ოდენობა და ერთ მბ/წმ-ზე გაანგარიშებული დანახარჯები ლარში.

ცხრილი N44

ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯები (ათას ლარში)	2017
საოპერაციო ხარჯები	68,797
ინტერნეტის ტრანსპორტირება საბითუმო	19,777
კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურება	670
სპილენძის სახაზინო-საკაბელო წყვილებთან დაშვება	1,627
ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების	13,744
სახელფასო დანახარჯები	8,998
აქტივების ცვეთა & ამორტიზაცია	10,193
აქტივების და ქსელის ტექნიკური მომსახურება	5,251
ქსელის და სხვა იჯარის ხარჯები	107
საერთაშორისო არხების იჯარა	189
მარკეტინგის და გაყიდვების ხარჯები	883
ზედნადები ხარჯები და ფინანსური ხარჯები*	7,358
კაპიტალი	37,454
მოგების მარჟის (კაპიტალის და WACC-ის ნამრავლი)	5,599
წლის განმავლობაში გაყიდული პაკეტების საშუალო თვიური ჯამური მოცულობა, მბ	5,914,050
დანახარჯი 1 მბ/წმ-ზე, ლარი	0.97
მოგების მარჟა 1 მბ/წმ-ზე ლარი	0.08

ცხრილი N45-ში მოცემულია 2017 და 2018 წლების განმავლობაში შპს „მაგთიკომისა“ და სს „სილქნეტის“ მიერ სიჩქარეების მიხედვით გაყიდული პაკეტების ოდენობების საშუალო თვიური მონაცემები

ცხრილი N45

		2017 წელი, საშუალოდ		2018 წელი, საშუალოდ	
	პაკეტი	აბონენტი	გაყიდული პაკეტები (აბონენტები x სიჩქარე)	აბონენტი	გაყიდული პაკეტები (აბონენტები x სიჩქარე)
მაგთიკომი	<=10	80,347	663,528	64,120	510,659
	>10.1 <=20	69,460	1,340,947	166,845	3,307,158
	>20.1 <=35	79,942	2,302,566	87,443	2,551,321
	>35.1 <=50	8,431	420,273	18,380	897,190
	>50.1 <=100	4,511	447,084	1,896	184,404
	>100.1	11	3,900	16	5,625
	სულ	242,701	5,178,298	338,700	7,456,357
	სილქნეტი	<=10	172,749	949,724	145,324
>10.1 <=20		65,795	1,257,723	94,697	1,850,490
>20.1 <=35		23,961	838,644	25,374	888,073
>35.1 <=50		3,908	195,407	3,764	188,173
>50.1 <=100		6,149	614,635	6,253	625,131
>100.1		2,059	2,057,917	2,378	2,377,917
სულ		274,621	5,914,050	277,789	6,822,148

ცხრილი N46- ში მოცემულია ავტორიზებული პირების მიხედვით 2017 და 2018 წელს ფიქსირებული ინტერნეტის მიწოდებაზე გაწეული დანახარჯების დანახარჯი 1 მბ/წმ-ზე გადასახადების გარეშე

ცხრილი N46

კომპანია	გაანგარიშება 1 მბ/წმ-ზე თვეში, ლარი	2017	2018
მაგთიკომი	მოგების მარჟა მბ/წმ-ზე, ლარი	0.08	0.07
	1 მბ/წმ-ის დანახარჯი, ლარი	1.26	1.03
	თვითღირებულება	1.34	1.10
სილქნეტი	მოგების მარჟა მბ/წმ-ზე, ლარი	0.08	-
	1 მბ/წმ-ის დანახარჯი, ლარი	0.97	-
	თვითღირებულება	1.05	-

ცხრილი N47-ში მოცემულია შპს „მაგთიკომისთვის“ ზემოაღნიშნული ფორმულის მიხედვით გაანგარიშებული ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯი ოპტიკური ინტერნეტ პაკეტების მიხედვით მოგების მარჟის გათვალისწინებით

ცხრილი N47

პაკეტები მბ/წმ -ის მიხედვით	ერთ მგბტ/წმ-ზე დანახარჯები + მოგების მარჟა	გაანგარიშებული ტარიფი გადასახადებით (დღგ)	შეთავაზების ფასი
10	13	16	27
20	27	32	30
30	40	47	37
50	67	79	50
100	134	158	100

ცხრილი N48-ში მოცემულია სს „სილქნეტისთვის“ გაანგარიშებული ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯი მოგების მარჟის გათვალისწინებით ოპტიკური ინტერნეტ პაკეტების მიხედვით

ცხრილი N48

პაკეტები მბ/წმ -ის მიხედვით	ერთ მგბტ/წმ-ზე დანახარჯები + მოგების მარჟა	გაანგარიშებული ტარიფი გადასახადებით (დღგ)	შეთავაზების ფასი
10	10	12	26
20	21	25	35
35	37	43	40
50	52	62	50
100	105	124	100

ცხრილი N47-ში და ცხრილი N48- ში მოცემული შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ დანახარჯების სრულად განაწილებული მეთოდის მიხედვით ყველაზე უფრო მომგებიანი დაბალი სიჩქარის მქონე ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების პაკეტია.

ცხრილი N20-ში მოცემულია სს „სილქნეტისთვის“ გაანგარიშებული ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების დანახარჯი მოგების მარჟის გათვალისწინებით DSL ინტერნეტ პაკეტების მიხედვით

ცხრილი N49

პაკეტები მბ/წმ -ის მიხედვით	ერთ მგბტ/წმ-ზე დანახარჯები + მოგების მარჟა	გაანგარიშებული ტარიფი გადასახადებით (დღგ)	ფასი	მოგების მარჟა	%
-----------------------------	--	---	------	---------------	---

3	3	4	24	20	647%
4	4	5	33	28	667%
6	6	7	45	38	606%
8	8	10	65	55	657%

ცხრილი N50-ში მოცემულია შპს „მაგთიკომისა და სს „სილქნეტის“ აბონენტების გადანაწილება პაკეტების მიხედვით 2017 და 2018 წლებისთვის

ცხრილი N50

აბონენტების განაწილება პაკეტების (სიჩქარეების) მიხედვით

	პაკეტი	2017	2018		პაკეტი	2017	2018
		წელი	წელი			წელი	წელი
მაგთიკომი	<=10	33%	19%	სილქნეტი	<=10	63%	52%
	>10.1 <=20	29%	49%		>10.1 <=20	24%	34%
	>20.1 <=35	33%	26%		>20.1 <=35	9%	9%
	>35.1 <=50	3%	5%		>35.1 <=50	1%	1%
	>50.1 <=100	2%	1%		>50.1 <=100	2%	2%
	>100.1	0%	0%		>100.1	1%	1%
	სულ	100%	100%		სულ	100%	100%

ცხრილი N51-ში მოცემულია განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის მიხედვით შპს „მაგთიკომის“ ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების საშუალო დატვირთულ კაპიტალზე უკუგება პროცენტებში

ცხრილი N51

შპს „მაგთიკომი“

საშუალო დატვირთულ კაპიტალზე უკუგების ანგარიში

თანხები წარმოდგენილია ათას ლარებში

31 დეკემბერი
2018
არა
აუდირებულ
ო

31 დეკემბერი
2017
აუდირებული

მოგება-ზარალის ანგარიში-უკუგება	7,256	4,492
ძირითადი დატვირთული კაპიტალი	51,390	29,996

ცხრილი N52-ში მოცემულია განცალკევებული აღრიცხვის ანაგარიშის მიხედვით სს „სილქნეტის“ ფიქსირებული საცალო ინტერნეტ მომსახურების საშუალო დატვირთულ კაპიტალზე უკუგების ანგარიში

ცხრილი N52

სს „სილქნეტი“

საშუალო დატვირთულ კაპიტალზე უკუგების ანგარიში

<i>თანხები წარმოდგენილია ათას ლარებში</i>	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
	აუდირებული	
მოგება-ზარალის ანგარიში-უკუგება	975	
ძირითადი დატვირთული კაპიტალი	38,432	36,475
უკუგება ძირითად დატვირთულ კაპიტალზე	3%	

სს „სილქნეტის“ დაბალი მოგების ერთ ერთი განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ სს „სილქნეტის“ ტრანსფერული დანახარჯები გლობალური ინტერნეტის რესურსებთან წვდომაზე მაღალია

შენიშვნა: ზემოაღნიშნული მიდგომით ხარჯზე ორიენტირებული ტარიფის გაანგარიშება არასრულყოფილია, რადგან ფიქსირებული ინტერნეტის დანახარჯები არ არის განცალკევებული ფიქსირებულ და ცვლად დანახარჯებად. შესაბამისად, მთლიანი დანახარჯების გაყიდული პაკეტების მოცულობაზე გაყოფა არაზუსტ ინფორმაციას იძლევა კონკრეტული პაკეტის დანახარჯების შესახებ, რადგან პაკეტის სრული დანახარჯები სიჩქარის ზრდის პროპორციულია (ცხრილი N48 და ცხრილი N49), ფიქსირებული ინტერნეტის დანახარჯების შინაარსიდან და სტრუქტურულიდან გამომდინარე პაკეტის სიჩქარის ზრდათან უნდა იზრდებოდეს მხოლოდ ცვლადი დანახარჯები და არა ორივე ფიქსირებული და ცვლადი დანახარჯები.

კომისია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისია საერთაშორისოდ გამოცდილ კონსულტანტებთან ერთად გააგრძელებს აღნიშნულ საკითხზე მუშაობას იმისათვის, რომ სრულად და ზუსტად მოხდეს კონკრეტული პაკეტის ღირებულების ხარჯზე ორიენტირებულობის შეფასება. კომისია ასევე, საერთაშორისოდ გამოცდილ კონსულტანტებთან ერთად გააგრძელებს მუშაობას ინტერნეტის საბითუმო მომსახურების, ე.წ. „bitstream“-ის რეგულირების მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ახლო მომავალში კომისია გამოცხადებს ელექტრონულ ტენდერს საკონსულტაციო მომსახურების შეძენაზე. ტენდერში გამარჯვებული სათანადო გამოცდილების მქონე საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით ბაზრის მონაწილეებთან და დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი კონსულტაციების წარმოების საშუალებით კომისია შეიმუშავებს საცალო მომსახურების ცვლადი და ფიქსირებული დანახარჯების განცალკევების და გაანგარიშების მოდელს,

რომლის საშუალებითაც შეფასდება ოპერატორის მიერ ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების მომგებიანობა.

ე.წ. „bitstream“-ის რეგულირებასთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის - „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარება - კანონმდებლობის ჰარმონიზება, შემდგომი თაობის ქსელებთან დაშვების რეგულირება და მარეგულირებელი განვითარება“ ფარგლებში მომზადებული იქნა საკონსულტაციო დოკუმენტი (დოკუმენტი გამოქვეყნებულია კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე <http://gncc.ge/uploads/other/3/3071.pdf>), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების რეგულირების სტრატეგიის შემუშავების რეკომენდაციებს.

მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ანალიზის შედეგები

ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ფლობის განსაზღვრის ანალიზისას, კომისიის მიერ შეფასებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები, რომლებიც საცალო მომსახურებითვის ყველაზე უფრო რელევანტურია:

- ავტორიზებული პირის საბაზრო წილი და მისი საერთო მოცულობა;
- რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა;
- მომხმარებლის ძალაუფლების დაბალი დონე და/ან არ არსებობა;
- დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები.

შპს „მაგთიკომს“ და სს „სილქნეტს“ ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე თითქმის ყველა რეგიონში გააჩნიათ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება. შპს „მაგთიკომი“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით ქვეყნის მთელი მასშტაბით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გარდა, მნიშვნელოვან საბაზრო წილს (15 პროცენტზე მეტს) ფლობს. ხოლო სს „სილქნეტი“, გურიასა და მცხეთა-მთიანეთის გარდა, ქვეყნის მთელი მასშტაბით მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მფლობელია. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რუსთავში (ქვემო ქართლი), შიდა ქართლში და იმერეთში, სადაც ბაზრის ამ სეგმენტზე მნიშვნელოვან საბაზრო წილს შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ფლობდა (ცხრილი N37 და N38), შპს „მაგთიკომის“ საბაზრო პოზიცია უფრო გამლიერდა, რაც ბაზრის ამ სეგმენტზე კონკურენციის შესუსტების მაჩვენებელია.

ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ცნობის თაობაზე დასკვნას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ამ კომპანიებს მნიშვნელოვნად დიდი ქსელი გააჩნიათ, რომელიც არსებულ ბაზარზე შესვლისა და საბაზრო პოზიციის შენარჩუნების აუცილებელი აქტივია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში სხვა ავტორიზებული პირების მიერ ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებაზე დაწესებული ფასები შპს „მაგთიკომის“ და სს „სილქნეტის“ მიერ დაწესებულ ფასებზე დაბალია, ამან ვერ უზრუნველყო ავტორიზებულ

პირებს შორის კონკურენციის გამძაფრება. პირიქით, შპს „მაგთიკომის“ მიერ ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები ბოლო პერიოდში გაიზარდა, ხოლო სხვა ოპერატორების შემოსავლები შემცირებულია. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შპს „მაგთიკომს“ შემოსავლები 19 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც ამ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები საანალიზო პერიოდში მხოლოდ 6 პროცენტით გაიზარდა, სს „სილქნეტს“ შემოსავლები ამავე პერიოდში ერთი პროცენტით შეუმცირდა. შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“ მასშტაბის ეკონომიით სარგებლობენ (როგორც დივერსიფიცირებული მომსახურების მიწოდებით, ასევე მიწოდებული მომსახურების მოცულობით). შესაბამისად, შპს „მაგთიკომის“ და სს „სილქნეტის“ მიერ მომსახურებაზე დაწესებული ფასები აღნიშნული ეკონომიის გათვალისწინებით სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით მაღალია და ამასთან მომგებიანია, რაც ასევე საბაზრო ძალაუფლების მაჩვენებელს წარმოადგენს.

ფიზიკური პირების მიერ მიღებული ინტერნეტ საცალო მომსახურება მნიშვნელოვნად განსხვავდება იურიდიული პირებისათვის მიწოდებული ინტერნეტ საცალო მომსახურებისაგან, როგორც მომსახურების მახასიათებლების (“VPN” ვირტუალური ქსელი, უსაფრთხოების პარამეტრები და ა.შ.) ასევე გამოყენების (მომსახურების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ა.შ.) და ტარიფების (ფიზიკური პირებისათვის ინტერნეტ მომსახურება ზოგადად უფრო იაფია, ვიდრე ბიზნესისთვის) თვალსაზრისით.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მიერ შეძენილი ინტერნეტის პაკეტები, ისეთ დამატებით მომსახურებებს მოიცავს, როგორცაა სხვადასხვა ელექტრონული საფოსტო მისამართები, ვებ ჰოსტინგი და ა.შ. რაც შეეხება დიდი ზომის იურიდიულ პირებს, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მათ მიერ გამოყენებული ინტერნეტ პროდუქტებით (გამოყოფილი არხები, გარანტირებული სიჩქარე), რომელიც უზრუნველყოფს ბევრად უფრო მაღალ სიჩქარეს და მომსახურების ხარისხს. ასეთ სერვისებზე დაწესებული ტარიფები მნიშვნელოვნად აღემატება ე.წ. “სტანდარტული” ფართოზოლოვან პაკეტებზე ოპერატორების მიერ მოთხოვნილ ფასებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცალო ფიქსირებული ინტერნეტის მომგებიანობის მათ შორის, დანახარჯების სრულყოფილად შესწავლის მიზნით აუცილებელია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა კომისიაში წარმოადგინონ განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში, სადაც განცალკევებულად იქნება აღრიცხული კორპორატიული და ფიზიკური პირებისთვის მიწოდებული ინტერნეტის საცალო მომსახურების შემოსავლები და დანახარჯები. ასევე ყოველწლიური ანგარიშში განცალკევებულად უნდა იყოს წარმოდგენილი მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და გაწეული დანახარჯების შესახებ ინფორმაცია, რადგან: ა) მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების გაყიდვების დაახლოებით 50 პროცენტის ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურებასთან ერთად მიეწოდება აბონენტებს; ბ) ფიქსირებული ინტერნეტის და მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების აბონენტებისთვის მიწოდებისას გამოიყენება ზიარი/საერთო ინფრასტრუქტურა, რაც

განაპირობებს ამ ორ მომსახურებას შორის დანახარჯების ქსელის დატვირთვის მიხედვით გადანაწილებისას სპეციფიკური დაშვებების გამოყენებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირ(ებ)ს უნდა დაეკისროს განცალკევებული აღრიცხვის ვალდებულება. ამასთან განცალკევებული აღრიცხვის ანგარიში უნდა იყოს ფიზიკური/იურიდიული პირების, ასევე მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურებისთვის ცალ-ცალკე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის პირობები მსგავსია/ერთგვაროვანია, ამიტომ რეგულირების მიზნებისათვის მიზანშეწონილია ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვროს საქართველოს მთელი ტერიტორია.

რადგან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ამ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებული კონკურენციის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კომისიამ გადაწყვეტილებით უნდა დაადგინოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები, ამიტომ კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 „ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ და კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 „ინტერნეტის ქსელებით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შესახებ“ გადაწყვეტილებებით მიღებული რეგულაციები უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 და 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილებები ცნობილი უნდა იქნას ძალადაკარგულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და IX თავის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის, მე-11 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების, მე-20, 21-ე, 22-ე, 23-ე, 31-ე და 33-ე მუხლების, კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. განისაზღვროს ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიულ საზღვრად - საქართველოს მთელი ტერიტორია;

2. ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული ინტერნეტის საცალო მომსახურების მიწოდების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დადგინდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) სს „სილქნეტი“;

ბ) შპს „მაგთიკომი“.

3. ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულება:

3.1 **დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება**, შემდეგი კონკრეტული პირობით:

ა) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე;

ბ) კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული “ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” მიხედვით მომზადებული ყოველწლიური შემოსავლების და დანახარჯების განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის კომისიაში წარმოდგენა. ანგარიშში განცალკევებული უნდა იყოს ფიზიკური/იურიდიული პირების, ასევე მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების ყოველწლიური შემოსავლები და დანახარჯები.

4. ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) ფიქსირებული საცალო ხმოვანი ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ იქნას გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ი და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ჩაითვალოს კონკურენტულად;

5. ბოლო მომხმარებლებზე (აბონენტებზე) მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ იქნას გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ი და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ჩაითვალოს კონკურენტულად;

6. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი:

ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილება „ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“;

ბ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის №610/9 გადაწყვეტილება „ინტერნეტის ქსელებით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტების და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შესახებ“.

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ., N6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს „სილქნეტისთვის“, შპს „მაგთიკომისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე